საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 28 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ფასი 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება წვრილი ზომის (15×2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 168 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 168

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის პროსპ. № 18, ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხრებული [illegible]
**მიხეილ ბასილის ძე რუხაძის**
[illegible] (2460—1—1)

ღრმად დამწუხრებული [illegible]
**ჭაღუის**
[illegible] (2453—1—1)

[illegible]
**ალექსანდრე (საშოლ) მახიეის ძე თურმანიძის**
[illegible] (2459—1—1)

[illegible]
**პავლე ქუჩიას ძე ჯიქიას**
[illegible] (2462—2—1)

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა [illegible]
**წისქვილის ქვებს**
ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი: ქ. ზესტაფონი, ერობის გამგეობა. (2398 5—5)

ექიმი
**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი**
ილებს საზებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.
2048—თ.

მსურს ვიყიდო
**საპარიკმახერო**
ქ. თფილისში, უმთავრეს ქუჩაზე ყოველივე მოწყობილობით, პირობების გაგება ქ. ფოთში **ნესტორ ჩიხლაძესთან.**
(2414 4—3)

## „წითელი" აძერბეიჯანი და სომხეთის დემოკრატია

ყველაზე მტკივნეულ საკითხად ამიერ-კავკასიის დღევანდელ ვითარებაში უეჭველად სომხეთის საკითხი უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მუდამ იმ აზრის ვიყავით, რომ სომხეთის და საქართველოს ბედი ერთმანეთთან ისე მჭიდროთ არის გადაჯაჭვული, რომ სომხეთის ბედნიერება საქართველოსთვისაც სასიხარულოა და სომხეთის უბედურება—უბედურებაა საქართველოსთვისაც. ამიტომ ჩვენი დემოკრატია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს საბჭოთა რუსეთის და „წითელი" აძერბეიჯანის ყოველს ნაბიჯს სომხეთის მიმართ.

კომუნისტების სიტყვასა და საქმეს შორის სომხეთის საკითხში არავითარი თანხმობა არ არის: ადგილობრივი „წითელი" ჯარი უსიტყვოთ, ფაქტიურად აწარმოებს სომხეთის წინააღმდეგ აშკარა აგრესიულ პოლიტიკას. „წითელი" ჯარი სავსებით და უცვლელად განაგრძობს იმ მიზნების განხორციელებას, რასაც „მუსავატისტების" მთავრობა ისახავდა ცნობილი სულთანოვის მეთაურობით: აძერბეიჯანში საბჭოთა წესების გამოცხადების შემდეგ მისი ჯარი წინანდებურად აწვება ყარაბახსა და ზანგეზურს და ცდილობს აძერბეიჯანის საზღვრები გააფართოვოს ყაზახის მაზრის სამხრეთისაკენ. „წითელი" ჯარი განაგრძობს იმას რის განხორციელებაც ვერ შესძლო ასკერთა ლაშქარმა [illegible] მიზნათ ისახავს სისხლის ღვრის თავიდან აცილებასო." მაგრამ, რასაკვირველია, ეს ასეთი სიტყვები მხოლოდ გულუბრყვილო და ყოვლად ბეცს პოლიტიკოსს თუ დაამშვიდებს: ყარაბახელი და ზანგეზურელი სომხებისათვის სულ ერთია, ვინ მივა მათზე ცეცხლითა და მახვილითა,—შავი ასკერები თუ „წითელი" „ტავარიშჩები." და რომ ეს უკანასკნელნი მცხოვრებთა აკლებაში და ძლეტაში ასკერებს არ ჩამოუვარდებიან, ეს სომხებმა უკვე არა-ერთხელ იგრძნეს თავის ზურგზე.

„წითელი" აძერბეიჯანის მოქმედება სომხეთის მიმართ პირდაპირი და უცვლელი განგრძობაა იმ პოლიტიკისა, რომელსაც სულთანოვების აძერბეიჯანი ადგა. ყარაბახ-ზანგეზურის დაჭერას აუცილებლად მოჰყვება ნახიჩევან-შარურის მაზრებში შეჭრა და ყაზახის მაზრის წართმევის შემდეგ „წითელი" ჯარები არ შეჩერდებიან ეჩმიაძინის და ერევნის მაზრების დაჭერის წინაშე. „წითელი" აძერბეიჯანი, ისევე როგორც საბჭოთა წესების გამოცხადებამდის, ხელს უწყობს ანატოლიის პანთურქისტებს, მაგრამ ამ ორ მოსიყვარულე გულის შეერთებას აბრკოლებს სომხეთის რესპუბლიკის გასრესა შედის „წითელი" აძერბეიჯანის პროგრამაში ისევე, როგორც ეს შედიოდა სულთანოვის აძერბეიჯანის პროგრამაში.

ეს იმდენათ უცილობელია, რომ ეს აშკარათ უგრძვნია სომხეთის დემოკრატიას, იმ დემოკრატიას, რომელიც საბჭოთა რუსეთის აძერბეიჯანში მოსვლამდის მუდამ „რუსეთის ორიენტაციის" მომხრე იყო, რომელიც პანისლამისტების თავდასხმისაგან ხსნას აქამდის სწორედ საბჭოთა რუსეთისაგან მოელოდა. დღეს ამ დემოკრატიისათვის სრულიად აშკარაა, რომ ის, რასაც სომხეთის წინააღმდეგ აკეთებენ „წითელი" აძერბეიჯანის ჯარები, კეთდება „კომუნიზმის ნიღაბ-ჩამოფარებულ" პოლიტიკოსების მიერ. სომხეთის მუშები და გლეხები პროტესტით მიმართავენ რუსეთის და აძერბეიჯანის დემოკრატიას იმ ძალადობის და იმპერიალისტური პოლიტიკის გამო, რომელსაც „წითელი" აძერბეიჯანი აწარმოებს სომხეთის მიმართ. სომხეთის დემოკრა- [illegible] და რომელიც მიმართულია სომხეთის დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ. [illegible] გან, ესაა აუცილებელი პირობა ერის კულტურულ-პოლიტიკური განვითარებისა, ესაა თავის დახსნა იმ რეაქციისაგან, რომელიც ამიერ-კავკასიის ერებს მოელის აძერბეიჯანის „წითელ" პანისლამისტების მხრივ ისევე, როგორც ანატოლიის შავი პანთურქისტების მხრივ.

## პრესა

გაზეთი „სლოვო" აფასებს ჩიჩერინის მიერ სომხეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტას და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„ბოლშევიკების მოვლინებამ ამიერ-კავკასიაში სომხეთის ხალხს მისი მოლოდინის წინააღმდეგ უკვე მოახვია თავს გარეშე მტრებთან ომი—მის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებზე აძერბეიჯანელების თავდასხმისა და საბჭოთა ჯარების ყარაბახში და ზანგეზურში შესევის სახით. ბოლშევიკები შეეცადენ თავზე მოეხვიათ აგრეთვე საშინაო სამოქალაქო ომი; და მხოლოდ სომხეთის დემოკრატიის შეკავშირებამ და მის ხელმძღვანელთა ენერგიამ შესძლო თავიდან აეცილებია ხალხისთვის ეს დიდი უბედურება.

საბჭოთა მთავრობა ჰპირდება სომხეთს „მცირე აზიაში ტერიტორიის მოპოების შესაძლებლობას" მაშინ, როდესაც მისი ჯარების უფროსები—ველიკანოვის მსგავსები—მოითხოვენ მის (სომხეთის) ისეთ უდაო ტერიტორიების განწმენდას, რომელზედაც არ ედავებოდა აძერბეიჯანის მუსავატელების მთავრობაც კი. საბჭოთა ჯარებმა უკვე დაიკავეს ასეთი უდავო ტერიტორიები—მთა-გორიანი ყარაბაღი და ზანგეზური, სადაც ხვრეტენ ტყვეთ წაყვანილ სომეხ ოფიცრებს.

ასეთი ფაქტების გვერდით ჩიჩერინის ნოტის დაპირებები—თავიდან აგვაცილონ სისხლიანი შეტაკებები და „შექმნან პირობები, როდესაც შესაძლებელი იქნება სადავო ტერიტორიალურ საკითხების მშვიდი და მიუდგომელი განსჯა",—ასეთ დაპირებებს სომხეთის ხალხისთვის მხოლოდ დაცინვისა და მოტყუილების სუნი უდის.

და განა შესაძლებელია განხილვა რაიმე საკითხებისა მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარები სომხეთისაკენ მიიწევენ, როდესაც აძერბეიჯანიდან არ უშვებენ თავიანთ თავისუფალ სამშობლოში სომხებს, რომლებსაც იქ გაძარცვა, დაპატიმრება და სიკვდილიც კი მოელით, როდესაც სოლქის სომხობას ძალით ერეკებიან საბჭოთა ჯარებში ან კიდევ აბრუნებენ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში?

სადღა არის აქ არა თუ განსაკუთრებული „მეგობრული" დამოკიდებულება სომხეთის ხალხისადმი,—უბრალო მიუდგომლობაც კი, როდესაც ნდობით ეკიდებიან მხოლოდ მუსავატელების ყალბ ხმებსა და ცნობებს, როდესაც სადავო ტერიტორიები პირდაპირ აძერბეიჯანის ტერიტორიებათ ითვლება, ხოლო უდავო სომხური მიწა-წყალი სადავო ხდება ან პირდაპირ ეძლევა საბჭოთა აძერბეიჯანს?

ჩიჩერინის ნოტაში „საბჭოთა რუსეთი გამოდის, როგორც უანგარო მეგობარი თვითეულ ერის მშრომელებისა" მაშინ, როდესაც მეგობრობას იჩენენ არა სომხეთის მშრომელებისადმი, არამედ—სომხეთის მშრომელ ხალხის ფერნაცვალ მტრებისადმი—აძერბეიჯანის ბეგებისა და არა ფერნაცვალ, აშკარა მტრების—ანატოლიის ფაშებისადმიც კი.

ისეთ ნოტების გამოგზავნის მაგივრათ, რომლების საუკეთესო, დაპირებები და კეთილი განზრახვები პირდაპირ წინააღმდეგებიან ფაქტიურ მოქმედებებს,—ამის მაგივრათ საბჭოთა მთავრობა უკეთესათ მოიქცეოდა, რომ საქმით დაემტკიცებია თავისი სიყვარული მშვიდობიანობისადმი, თავისი პატი- [illegible] ამას იგი მიაღწევდა მით, თუ შეაჩერებდა თავდასხმას სომხეთზე, გასწმენდდა აძერბეიჯანის ჯარების მიერ დაკავებულ სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწა-წყალს, ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ დევნას სომეხ მოქალაქეებისას აძერბეიჯანში და სოჭაში და საჩქაროთ დასდებდა სომხეთთან ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფდა სომხეთის სრულ დამოუკიდებლობისა და მის ტერიტორიალურ ხელუხლებლობას".

* * *

ამავე საკითხს ეხება „ნორ-აშხატავორი" (№ 89).

„ჩიჩერინი თავის ნოტაში სწერს, სხვათა შორის, რომ საბჭოთა რუსეთი განაგრძობს სიარულს მეგობრობის გზით ყველა მშრომელ ერების მიმართო.

„ეს მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ სინამდვილეში კი არ გვაქვს ამის არც ერთი საბუთი. სომხეთის დელეგაცია დღემდე მოსკოვში ზის, სომხეთის საზღვრებს კი ლახავენ და ძარცვავენ საბჭოთა ჯარები. ცხადია, რომ ამ პირობებში მეგობრობაზე ლაპარაკი, მეტი რომ არა ვთქვათ, უადგილოა".

„სომხის დემოკრატიას არას დროს მტრული ნაბიჯები არ გადაუდგამს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამ არანორმალური მდგომარეობის წინაშე არ შეუძლია თვალები დახუჭოს.

„საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა. ვინც ერიდება სისხლის ღვრას, მან ეს საქმით უნდა დაამტკიცოს.

„დაე დასცალონ ყარაბაღი და ზანგეზური, ხელი მოაწერონ შეთანხმების ხელშეკრულობას და მერე ილაპარაკონ თავიანთ გრძნობებზე.

„სხვაფრივ ასეთი განცხადებები ჩვენ უნდა მივიღოთ როგორც ჩვეულებრივი დიპლომატიური ნაბიჯები, რომლებიც შეგნებულ სომეხ მშრომელ ხალხს ვერ შეიყვანებენ შეცდომაში".

## საქართველოს მუშაობა უცხოეთში

მთელი ასი წლის განმავლობაში ევროპას არ გაეგონა თუ ვინ იყო ქართველი, თუ რას წარმოადგენდა საქართველო. ევროპა იცნობდა რუსეთს, როგორც დიდს, უზარმაზარ, 140 მილიონიან სახელმწიფოს და ანგარიშს უწევდა ამ გიგანტს ყოველ ასპარეზზე. ევროპამ ერთხელ მოჰკრა ყური ქართველის სახელს და ესეც 1905 წელში, როდესაც ქართველი დემოკრატიის რაზმები თავგამოდებით ებრძოდენ რუსეთის თვითმპყრობელობის ჯალათებს. ყური მოჰკრა იმ საშინელ ამბებს, რომელიც დატრიალდა ჩვენში რევოლიუციის დამარცხების და საშინელი რეაქციის დაწყების შემდეგ. მაგრამ ამ ამბავმა მეტეორივით გადაიარა ევროპის ცაზე და შემდეგ აღარავის სმენია „საქართველოს" შესახებ რაიმე.

რუსეთის დიდი რევოლუციის დაწყებამ, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გამოჩნდა და სინათლეზე გამოიყვანა ყველა ის ერი, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის კლანჭებში იხუთებოდა. ევროპა გაკვირვებული მისჩერებოდა და ხედავდა, რომ რუსეთის ტყავიდან გამოძვრენ სრულიად ახალი და უცნობი ერები.

ფაქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ბრძოლა ოსმალეთთან, ბრძოლა ბოლშევიკებთან და სხვა მსხვილი მოვლენა, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში, ძალაუნებურად ყურადსაღები გახდა ევროპისათვის და ევროპის სახელმწიფოთა მმართველ წრეებისათვის.

საქართველო გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე და გახდა მოსმენის და ყურადღების ობიექტი.

როგორც ვსთქვით, ევროპა არ იცნობდა საქართველოს და საჭირო გახდა მისი ავლადიდების ცნობა.

ეს იყო ჩვენი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგმულიყო ევროპის გზაზე.

საქართველოს განცხადება, რომ იგი მიდის ევროპაში ევროპის კულტურის მისაღებათ და ევროპის დემოკრატიასთან ერთად სასიარულოთ, გვავალებდა ჩვენ ჩვენი მხრივ საკუთარი ნაბიჯები გადაგვედგა მასთან დასაახლოვებლათ და გასაცნობათ. ეს პირველი ნაბიჯია ინფორმაციის გავრცელება ევროპაში ჩვენ, რომელნიც სრულიად უცნობი ვიყავით ევროპისათვის, მეტათ მოწადინებული უნდა ვყოფილყავით ჩვენი თავი გაგვეცნო ევროპისათვის. მოწოდება და სურვილი ჩვენ შეიძლება დიდი გვქონდა, მაგრამ განხორციელდა თუ არა—ეს ცალკე საკითხია, და სწორედ ამ საკითხს უნდა შევეხოთ აქ. ნურავინ იფიქრებს ამ საკითხს უბრალო და უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდეს. ნურავინ იტყვის, რომ საქართველოს პროპაგანდის საქმეს დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს ჩვენი ქვეყნის ბედის საკითხში. ევროპისათვის გაცნობას, ევროპაში სახელის ქონას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელიც გუშინ გამოვედით საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთი პროპაგანდა არ სჭირდება პოლონეთს, არ სჭირდება ფინეთს, მაგრამ მეტის მეტათ გვჭირდება ჩვენ. როდესაც ევროპიელი ინტელიგენტი გეკითხება, როდესაც ჟურნალისტი გეუბნება,—თქვენ ქართველი ხართ,ოო, მე კარგათ ვიცნობ თქვენ ქვეყანას, თქვენ ამერიკიდან ხართო,—როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე? მაგრამ განა მარტო ამისთვის არის საჭირო პროპაგანდა-აგიტაცია, რომ მარტო „ინტელიგენტურ" მასას გააცნოთ საქართველო? საჭიროა პროპაგ. მთელი ხალხისთვის მთელი მასისთვის, რომლის ხმას ევროპაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს პარიზის ერთ გაზეთში ჟან-ტიხონის ერთი და ორი წერილის დაბეჭდვა არა კმარა, ერთი ან ორი წიგნის გამოცემა ვერ დააკმაყოფილებს საქმეს, საჭირო იყო და არის საჭირო მუშაობა ამ პროპაგანდისათვის, რაც სამწუხაროთ და სავალალოთ ხეირიანათაც კი არ მიმდინარეობს. და ეს მაშინ, როდესაც არ დარჩენილა თითქმის ევროპის არც ერთი სახელმწიფო, სადაც საქართველოს თავისი წარმომადგენელი არ ყავდეს, ან დელეგაცია ან რაიმე მისია არ გაეგზავნოს. ამ დელეგაციების და მისიების გარშემო თავი აქვთ მოყრილი ევროპაში ჩარჩენილ ქართველებს, ამ მისიებში იხარჯება აუარებელი ჩვენი ღარიბი ხაზინიდან მამასისხლათ გადახურდავებული ფული და შედეგი კი? ალბათ ეს თქვენც მოგეხსენებათ.

არც ერთ დელეგაციას არავინ არ კითხავს, თუ როგორ გადაიჭრას საქართველოს საკითხი. საქართველოს საკითხი დამოკიდებულია საერთაშორისოთ შექმნილ სიტუაციაზე, ხელშემწყობ ან ხელშემშლელ პირობებზე. ინგლისის კაბინეთის თავმჯდომარე ლოიდ ჯორჯი ან საფრანგეთის მილიერანი არ დაგეკითხებათ თქვენ, როგორ უნდა გადაიჭრას ესა თუ ის საკითხი საქართველოს შესახებ. საქართველო მათი პოლიტიკის გზაზე არის ერთი მარცვალი, რომელიც უნდა წამოეგოს პოლიტიკურ კრიალოსანზე, რომელსაც ისინი ამზადებენ. ამ შემთხვევაში დელეგაციების, მისიების, წარმომადგენლების როლი არის სრულიად უმნიშვნელო და იგი შეიძლება იქამდე დავიყვანოთ, რომ დელეგაციამ შესაფერისი და სწორი ცნობები მაინც წარუდგინოს ამ ქვეყნის ძლიერთა კაბინეტებს. ამ ოფიციალური ინფორმაციის გარდა, განა არაფერი უნდა კეთდებოდეს დელეგაციების, მისიების და წარმომადგენლების მხრივ? პასუხი ერთია: უნდა კეთდებოდეს, საკეთებელი და სამუშაო ბევრია, მაგრამ პატრონი არ არის, სამწუხაროთ, მუშაობა არ სწარმოებს. აქა, იქ ამა თუ იმ გაზეთში ორ თვეში ან თვეში ერთხელ თვალს მოკრავ ამა თუ იმ ცნობას საქართველოს შესახებ. ის გაზეთები კი, რომელთაც საკუთარი კორესპონდენტები ჰყავთ კონსტანტინოპოლში ან ბათომში უფრო ხშირათ ჭორებით და ყალბი ცნობებით იკვებებიან. როდის გაიქცა საქართველოს მთავრობა ბათომში, როდის ჩაიგდეს ბოლშევიკებმა საქართველოს მთავრობა. ეს არ მომხდარა ფაქტიურათ, მაგრამ ეს მოხდა ზოგიერთი გაზეთების ფურცლებზე. იქნებ მკითხველმა იფიქროს, რომ საქართველოს წარმომადგენელი უარყოფდა ამ უმზგავსო ცნობას? მაგრამ ამისთვის ვის შეეძლო თავი აეტკივებია. არამც თუ პროპაგანდა, ჩვენს წარმომადგენლებს ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ყალბი ცნობები უარყონ და სინამდვილე-სიმართლე გამოაშკარავონ. თუ გაზეთების ცნობების შესახებ ასეთი „მუშაობა" სწარმოებს, რაღა უნდა იქნეს ფართო პროპაგანდის და გაცნობის საქმეში? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ამ დარგში თითქმის არაფერი კეთდება! ვინ არის დამნაშავე: უცხოეთში მყოფი საქართველოს წარმომადგენლები თუ საქართ. საგარეო საქმეთა სამინისტრო? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ უმოქმედობაში ორივე არის დამნაშავე. პირველნი იმიტომ, რომ არაფერს აკეთებენ, ან აკეთებენ მეტათ მცირედს. მეორე იმიტომ, რომ ამ „გაკეთებული"-ს ანგარიშს არ ითხოვს. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით: შეიძლება ითხოვს და მაშასადამე კმაყოფილდება თავის წარმომადგენლების მუშაობით, ეს სულ უარესი, რადგან ასეთი მუშაობა **არ წარმოებს არსად.** ჩვენ მივაქცევთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღებას ამ მოვლენაზე და მოვითხოვთ, რომ პროპაგანდის საქმე თუ სათანადო ნიადაგზე მაინც არ იქნება დაყენებული, ცოტა გაცხოველებული მაინც იქნეს.

ვ. ნ.

## თათბირი ვალიუტის შესახებ

პროფ. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით ვალიუტის საკითხის განსახილველათ საგანგებო თათბირი შესდგა. კრებას დაესწრო მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭანიძე და საგანგებოთ მოწვეული პირები. პროფ. ავალიანმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის გარემოება რომ თუ ეს თათბირი ვერ გაითვალისწინებს ვალიუტის საკითხის მოწესრიგებისათვის კონკრეტულ ზომებს, იმას მაინც გააკეთებს, რომ გამონახავს ერთგვარ საფუძველს, რომლის შემწეობით ფინანსთა უწყებას საჭირო ზომების მისაღებად მეტი შესაძლებლობა ექნება. ამასთანავე ავალიანმა აღნიშნა, რომ ვალიუტის დაცემა გამოწვეულია არა ხელოვნური გზით, არამედ დასავლეთ ევროპაშა არსებულ საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობითო. ამიტომ სპეკულიაციას არ შეუძლიან ადგილობრივ ვალიუტის ბაზარზე დიდი როლი ითამაშოს. ვალიუტის საკითხის მოსაწესრიგებლად სხვა ზომათა გარდა ავალიანი ასახელებს: 1) ექსპორტის გაძლიერება, 2) ვალიუტის ფონდის შესაქმნელად სხვადასხვა წყაროს გამოძებნა, 3) ცენტრალურ დაწესებულებაში სახელდობრ, საქართველოს სახელმწიფო ბანკში ვალიუტის ოპერაციის მონოპოლიის გამოცხადება. შემდეგ ვალიუტის საკითხის შესახებ დიდ მოხსენებას აკეთებს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. გ. აბხაზი, რომელიც აკეთებს რა ანალიზს ვალიუტის ღირებულების მოძრაობისას, რომ თამასუქის კურსი იცვლება არა იმდენად სპეკულიაციის გავლენით, რამდენად საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მომხდარ ამბების გავლენითო. საქართველოს ვალიუტის კურსის დაცემა აიხსნება მით, რომ საქონლის ბალანსი ცუდ მდგომარეობაშიაო. ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველათ მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ზომების გატარება: 1) ქაღალდის ფულის ნიშნების შემცირებით და სახელმწიფოებრივი ეკონომიით ფულის ბრუნვის გაუმჯობესება, 2) ტრანსპორტის გაუმჯობესება, 3) უცხო კაპიტალის შემოყვანა (სესხი კონცესია), 4) სავაჭრო და საკრედიტო არბიტრაჟის გაძლიერება. 5) იმპორტის შემცირება (ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა) 6) კომპეტენტურ ორგანოს დაარსება, როგორც მაგალითად ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკის გატარებას ხელს შეუწყობს და სხვ. კერძოდ მომხსენებელი ძლიერ დიდ მნიშვნელობას აძლევს რუსეთსა და ევროპას შორის საქართველოს არბიტრის როლში გამოსვლას. მომენტი ახლა ხელსაყრელია და იგი არ უნდა გაუშვათ ხელიდან, ამბობს მომხსენებელი. მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ი. ჭავჭანიძემ აღნიშნა, რომ სხვა მიზეზთა შორის, რომელიც ვალიუტის კურსის დადებაზე გავლენას ახდენს არის ისიც, რომ რესპუბლიკის ვაჭრები არ სცილდებიან ბათომს და მეორე ხელიდან უხდებათ საქონლის ყიდვა. კამათის შემდეგ, ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად შემდეგი ზომების განხორციელება სცნეს სასურველად: 1) ვალიუტის ფონდის დაუყონებლივი შექმნა, 2) დაარსება ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც სახელმწიფოს მეურნეობის გეგმას შეიმუშავებს, ბრძოლა სპეკულიაციასთან, პირდაპირ მწარმოებელთაგან აუცილებელ საქონლის შესყიდვით, ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა დაუყონებლივ შექმნას ვალიუტის ფონდი და დაარსოს ეკონომიური საბჭო. (სდს)

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მენშევიკები მბეჭდავთა პროფესიონალურ კავშირებში.** კავკავის „კომუნისტ"-ში შემდეგია მოთავსებული: კავკავის მბეჭდავ მუშების საზოგადო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ჩვენ ქ. კავკავის მბეჭდავი მუშები, რომლებიც სოციალისტურ რევოლიუციის ნიადაგზე ვდგევართ, არ შეგვიძლია გულგრილათ ვუყუროთ ჩვენს ირგვლივ არსებულ ბრძოლას და ჩვენს პროტესტს ვუცხადებთ ბ-ნ მენშევიკებს, რომლებიც არ დაემორჩილენ სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა მე-3 ყრილობის დადგენილებებს და ჩაშალეს დონის ოლქის მბეჭდავ მუშების ყრილობა. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მენშევიკების მოქმედების წინააღმდეგ,—იმ მენშევიკების, რომლებიც პოლონელ თეთრგვარდიელებისა და ოქროს პაგონიან ვრანგელის მომხრენი არიან და დეზორგანიზაცია შეაქვთ დონის ოლქის მუშათა წრეებში. რეზოლიუცია მოუწოდებს ამხანაგებს გაუფრთხილდენ მენშევიკების მოქმედებას განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყველაზე უფრო საშიშოა მათი გათიშვა. („კომუნ". № 84).

არსად, არას დროს რუსი მენშევიკები არ ყოფილან არც ვრანგელის, არც პოლონელი თეთრ-გვარდიელების მომხრე, მაგრამ ბოლშევიკი რის ბოლშევიკია, თუ

# დღეს

„ტაიმსის" ცნობით კრასინი ლონდონში აღარ დაბრუნდება. მის მაგივრათ ლონდონში იგზავნებიან ნოგინი და ჩიჩერინი.

გერმანიის საიმპერიო ეკონომიური საბჭო მოუწოდებს გერმანიის ყველა წრეებს ხელი შეუწყონ სპაში დადებულ ხელშეკრულების ასრულებას.

უკრაინაში ახალი კაბინეთი შესდგა, რომლის სათავეში არის სოციალისტ-ფედერალისტი ვ. პროკოპოვიჩი.

ქუჩუკ-ხანის ჯარები მიიწევენ ყაზვინისაკენ, რომელიც ინგლისის ჯარებს უკავია.

სტამბოლიდან მიღებული ცნობით სპარსეთის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ადერბეიჯანის რესპუბლიკა.

ფრანგული ცნობით წელს საფრანგეთში კარგი მოსავალი იქნება.

ეყველაფერი უკუღმა არ შემოატრიალა.

**„მენშევიკური კატორღა".** ამ სათაურით კავკავის „კომუნისტის" მე-88 ნომერში ვინმე რუბენი, უეჭველია, საქართველოდან გაქცეული ან გაძევებული ლანძღვა-გინებით სავსე წერილს ათავსებს, რომელსაც ასე ათავებს: „საბჭოთა არჩევნების დროის კავკასიის მუშებმა არ უნდა გააჭუჭყიანონ უკანასკნელი ისეთი მოღალატე ელემენტებით, რომელთა ღვიძლმა ძმებმა ორასი ვერსტით მოშორებით კავკავიდან ააშენეს „დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც გლეხებისთვის და მუშებისთვის ნამდვილი კატორღაა".

ზემო მოყვანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ საბჭოთა რუსეთის მენშევიკები არც იმდენათ უძლურნი ყოფილან ბალშევიკებთან ბრძოლაში!...

**ბალშევიკურ სოციალიზმში, „კულაკები" და მღვდელი.** ლუგანსკი. 3 ივლისი. სოფელ სოკოლნიკში მოხდა აჯანყება „კულაკების", რომლებმაც არ მოისურვეს აესრულებინათ საქონლის შეწერა („რაზვიორსტკა".) შეაგროვეს რა 500 კაცამდე ბრბო, „კულაკები", თავს დაესხენ ვოლისპოლკომის წევრებს და წითელ არმიელებს, და განაიარაღეს რა იმათი ნაწილი, დაიწყეს უწესრიგოთ თოფის სროლა. საღამოს აჯანყება უკვე ჩააქრეს და მეთაურები შეიპყრეს. აჯანყების ხელმძღვანელი გამოდგა ადგილობრივი მღვდელი. აჯანყების 6 მეთაური დახვრეტილია, 13 კაცს კი გადაუწყვიტეს კონცენტრაციულ ბანაკში დაპატიმრება სხადასხვა ვადით იძულებით სამუშაოს მისჯით. („სოვეტსკი დონ") № 125).

**სახელმწიფო დაწესებულებათა ძარცვა-გაქურდვა და სპეკულიაცია სოვდეპიაში.** რესპუბლიკის ყველა რევოლიუციონურ ტრიბუნალებს. საქმეების და განაჩენების განხილვის დროს, რომლებსაც არჩევს ვ. ც. ი. კ. საკასაციო ტრიბუნალი, როგორც კასაციის წესით, ისე—ზედამხედველობის და სარევიზიო წესით, დამტკიცებულია, რომ საქმეების დიდ პროცენტს უკანასკნელ თვეებში შეადგენენ ბოროტმოქმედებანი სხვადასხვა სახაზინო და კოოპერატიულ საწყობებში. ამ საწყობებიდან გააქვთ საქონელი სპეკულიაციის მიზნით, და აღსანიშნავია, რომ ამ ტაციობაში უმეტეს შემთხვევაში დამნაშავენი არიან ის მოსამსახურე პირნი, რომლებსაც უპირავთ პასუხისმგებელი საბჭოთა პოსტები. ვთვლით რა,—1) რომ სახაზინო საწყობებიდან ქონების ტაციობა, რომელიც აყენებს დიდ მატერიალურ ზიანს რესპუბლიკას და ავსებს სპეკულიაციურ ბაზარს ყოველგვარი საქონლით, რაც აფერხებს სპეკულიაციასთან ბრძოლას, მიიღო უკანასკნელ დროს მასიური ხასიათი; 2) რომ ამგვარ ტაციობის აღმოფხვრა ახლო ხანში არის გადაუდებელი მოთხოვნილება მიმდინარე პოლიტიკურ მომენტისა, რის გამოც ბრძოლა იმასთან უნდა იყოს შეუბრალებელი,—ვ. ც. ი. კ. საკასაციო ტრიბუნალი წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა რევოლიუციონურ ტრიბუნალებს—რომ ყოველთვის, როცა კი მათ უნდა გაარჩიონ სახაზინო საწყობებიდან ტაციობის საქმე, რასაკვირველია, ყოველივე საქმის კონკრეტიულ გარემოებათა მიხედვით, ამ გვარ საქმეებში რეპრესიათა ზომების განსაზღვრის დროს მიიღონ როგორც დირექტივი—მიუსაჯონ უმაღლესი სასჯელი. საკასაციო ტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიერ—ნ. კრილენკო. ტრიბუნალის მდივანი გ. როგინსკი. („სოვეტსკი დონ"— № 125).

**სიკვდილი დეზერტირების.** სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას ის აზრი, რომ სამხედრო მოვალეობის წინააღმდეგ დანაშაულობანი შეიძლება დარჩეს დაუსჯელი დეზერტირობის წინააღმდეგ საჭიროა დავიწყოთ შეუბრალებელი ბრძოლა. დეზერტირები შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ერთი სასჯელით დახვრეტით. დახვრეტის ყველა შემთხვევები უნდა იქმნას გამოცხადებული არმიის მიმართ ბრძანებებში, მოყვანილი უნდა იყოს დახვრეტილთა გვარები, ნაწილის სახელწოდება და შესაძლებლობის ფარგლებში მათი ოჯახების საცხოვრებელი ადგილიც. 1) ყოველივე არამზადა, რომელიც გასწევს უკანდახევის, დეზერტირობის და საომარ ბრძანების აუსრულებლობის აგიტაციას—დახვრეტილი იქნება. 2) წითელი არმიის ყოველი ჯარისკაცი, რომელიც—თავის ნებით დასტოვებს საომარ პოსტს, დახვრეტილი იქნება. 3) ყოველი ჯარისკაცი, რომელიც გადააგდებს ვინტოვკას ანდა გაჰყიდის ტანისამოსის ნაწილსაც კი—დახვრეტილი იქნება. 4) მთელ ფრონტის მომიჯნე ხელზე, და აგრეთვე ზურგშიაც განაწილებულის განსაკუთრებული რაზმები დეზერტირების დასაჭერათ ყოველივე ჯარისკაცი, რომელიც განიზრახავს გაუწიოს ამ რაზმებს წინააღმდეგობა, დახვრეტილი იქნება. აქ ყველა რევკომები, ვოლვოენკომები და უეზდვოენკომები ვალდებულნი არიან საჩქაროთ მიიღონ ყოველგვარი ზომები დეზერტირების დასაჭერათ და ამისათვის დღე-ღამეში ორჯერ მაინც უნდა მოაწყონ „ობლავები". დაჭერილები უნდა მიიყვანონ ახლობელ ნაწილის შტაბში, უახლოეს პოლევკომდეზერტირში ან და უახლოეს სამხედრო კომისარიატში. 6) დეზერტირების გადამალვაში დამნაშავენი დახვრიტონ. სიკვდილი „შკურნიკებს" და გამცემლებს! სიკვდილი დეზერტირობას!

პრედრევოენსოვრესპ — ლ. ტროცკი. („კომუნისტი" № 78,).

**ზარმაცებს არაფერი, მშრომელებს ყველაფერი.**

**მოსკოვი.** 9 ივლ. (რადიო). ყაზანის „ისპოლკომი" აძლევს თეთრეულს და ფეხსაცმელებს იმათ, ვინც თავი გამოიჩინა შრომის ფრონტზე. („სოვეტსკი დონ" №125).

შრომის ფრონტი ბალშევიკების ლექსიკონში უცხო სიტყვაა. ის ნიშნავს დარბევას, დატაცებას. მაშასადამე, ვინც არბევს, მას კიდეც მიაქვს თვისთვის ნადავლი. ბალშევიკების რადიო ფაქტის შემდეგ აღნიშნავს—ზარმაცებს არაფერი, მშრომელებს ყველაფერიო!

**მეორე ბრესტი არ იქნება!** „იზვესტიაში" კარლ რადეკი ვრცელ წერილს ათავსებს „პოლიტიკური დროებითი ზავის" სათაურით, სადაც სხვათა შორის სწერს: „ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობაში ბრესტ-ლიტოვსკს ადგილი არ ექნება. ეხლა ძალთა შეთანასწორება იმნაირია, რომ ჩვენ ზავის მისაღებლათ გვიხდება დავთმოთ ზოგი რამ, მაგრამ არ არის არავითარი მიზეზი, რომ მივიდეთ კაპიტულიაციამდე, ან და მსხვერპლათ შევსწიროთ ჩვენთვის ძლიერ საჭირო რამ. ეს გაიგო ჩვენმა უბოროტესმა მტერმა—ინგლისის იმპერიალიზმმა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა რუსეთის განვითარების ყოველივე დღე გაგვაძლიერებს ჩვენ და გამოიყვანს ქვეყანას იმ ღრმა დაცემისა და გაღარიბებისაგან, რომელშიაც ჩააგდო იგი მეფის რუსეთის სამხედრო განადგურებამ და ჭეშმარიტათ გადააქცევს, როგორც გამოსთქვა პარიზის თეთრმა გაზეთმა „პოსლედნიე ნოვოსტი", ხალხთა ბეთლემათ. („იზვესტია" № 149 (996)

გაზეთებში და ზეპირადაც ბევრი მარგალიტები გვსმენია ბალშევიკებისგან, მაგრამ საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში ერთი ბრესტის შემდეგ აუარებელი ბრესტი გვინახავს—ბრესტი გარეშე, ბრესტი შინაურ ფრონტზე!

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

27 ივლისი.

**ბერლინი.** მუშათა ფედერაციამ გადასწყვიტა ფაბრიკების დახურვისა და მოსალოდნელ უმუშევრობის გამო მოაწყოს დიდი დემონსტრაცია. განზრახულია შემდეგი მოთხოვნილებების წამოყენება: 8 საათის სამუშაო დღის შემოკლება, ზედმეტი სამუშაოს აკრძალვა და საჭირო ზომების მიღების აუცილებლობა, რომ მომავალში უმუშევრობა თავიდან აცილებულ იქნეს.

**ლონდონი.** „ტაიმსის" კოპენჰაგენელი კორესპონდენტი იუწყება: თანახმად მოსკოვიდან მოსულ ცნობებისა, კრასინი ლონდონში აღარ დაბრუნდება. მის მაგივრად გაგზავნილი იქნებიან: ნოგინი და ჩიჩერინი. ჩიჩერინს დააკისრებენ განსაკუთრებულ მისიას—გამართოს მოლაპარაკება არა მარტო ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ, არამედ—გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებაც. ჩიჩერინმა უნდა გადასწყვიტოს აგრეთვე სპარსეთის, მცირე აზიის და რაც უმთავრესია, ანტანტასთან ზავის ჩამოგდების საკითხი. ჩიჩერინი მოსკოვიდან ამ ახლო დღეებში გამოემგზავრება.

**ვენა.** 10 ივლ. უკრაინაში შესდგა ახალი კაბინეტი, რომლის სათავეში სოციალისტ-ფედერალისტი ვ. პროკოფოვიჩი ჩადგა. ახალ კაბინეტში 3 სოც.-ფედ., 5 სოც. დემ., ერთი სახალ. სოციალისტი და დანარჩენი „სამოსტიინიკებია". საგარეო მინისტრის პორტფელი ნიკოვსკის ჩააბარეს. უკრაინის სოც. დემოკრ. კაბინეტში შემდეგი პირობით შევიდა. მიწათ-მოქმედების მინისტრის პორთფელი უნდა მიეცეს ს.-დემოკრ., უნდა გამოცხადდეს დროებითი კონსტიტუცია, აგრარული რეფორმა უნდა გატარდეს იმ სახით, როგორც ტარდებოდა იგი უკრაინაში პოლონელების მისვლის წინ.

**პარიზი.** 13 ივლ. უკრაინის პრესბიურო იუწყება, პარიზში ბურცევის ინიციატივით სრულიად რუსეთის ყრილობას იწვევენო. ამ ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ყველა კუთხის წარმომადგენლები.

**ლონდონი.** 6 ივლ. თანახმად „ტაიმსის ცნობებისა ქუჩუკ-ხანის ჯარები ზღვის ნაპირით მიიწევენ იმ ზონისაკენ, რომელიც ინგლისის ჯარებს უკავიათ, და რომელიც ყაზვინის ახლო მდებარეობს. რუსეთის ბალშევიკებს ასტარა უკავიათ.

**პრაგა.** 6 ივლ. ჩეხო-სლოვაკიასა და გერმანიის შორის ქვანახშირის მოწოდების შესახებ ახალი ხელშეკრულება დაიდო. ჩეხო-სლოვაკიამ უნდა მიიღოს სილეზიიდან 101.000 ტონი ქვანახშირი.

**პარიზი.** „ტანი" ეხება გენ. ვრანგელის ჯარების მდგომარეობას. სხვათა შორის იგი საკითხის პოლიტიკურ მხარეზე უფრო ვრცლად ჩერდება და სწერს: „გენ. ვრანგელი აღნიშნავს თავის მდგომარეობის სირთულეს, მას ესმის, რომ წესრიგის აღდგენა შეიძლება არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ გლეხების თანაგრძნობის მოპოვებით. მან იცის, რომ გლეხებს არ სურთ არც ძველი რეჟიმის დაბრუნება და არც ბალშევიკური ძალა-უფლების არსებობა. ამიტომ გენ. ვრანგელის მიზნები ასეთია: 1) მორალური გაჯანსაღება, 2) ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა, 3) უფლებრივ წყობილების მომხრეთა გაერთიანება, 4) გლეხების მატერიალურათ უზრუნველყოფა, და 5) ყველა საზოგადოებრივ ელემენტების ამუშავება.

**კონსტანტინოპოლი.** 17 ივლ. თეირანიდან იუწყებიან: სპარსეთის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ადერბეიჯანის რესპუბლიკა. სპარსეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლათ ბაქოში იქნება ნაზიმ-ხანი. თეირანის კაბინეტმა დაადგინა გაიგზავნოს ბაქოში საგანგებო კომისია სპარსეთსა და ადერბეიჯანის შორის ხელშეკრულების დასადებათ.

## სავაჭრო ხელშეკრულება
### საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სულ ახლო მომავალში საქართველოსა და საბჭოთა ადერბეიჯანს შორის სავაჭრო და სატრანსპორტო ხელშეკრულება დაიდება. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დაბრკოლდა იმით, რომ ჰუსეინოვი და ორჯონიკიძე ინსტრუქციების მისაღებათ გაემგზავრენ მოსკოვს, საიდანაც ორი კვირის შემდეგ დაბრუნდებიან.

იმავე წყაროებიდან იუწყებიან, რომ ნავთსადენით ნავთის გადაქაჩვა პირველ აგვისტოს დაიწყებაო. (სდს)

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 ივლისი.

**გერმანული ცნობები.**

**წითელი ჯარის შესახებ.**

კონსერვატიულ გაზეთის, ჰამბურგის „ვარტეს" გამომცემელი, რომელიც აცხადებდა მე ვიცი, რომ ჰამბურგში წითელი ჯარი ეწყობაო, განმარტების მისაცემად ბერლინში გაიწვიეს.

**უმუშევრობის გამო.**

(დასაწყისი არ არის მიღებული) სამეფო ეკონომიურ საბჭოში მომხდარ კამათის შემდეგ გავიდა რეზოლიუცია, რომელიც მწარმოებლების და მუშების (მათ შორის დამოუკიდებელი სოციალისტებისაც) თავმჯდომარემ შეიმუშავა. რეზოლიუცია თხოულობს გადამჭრელ ზომების მიღებას, (დამახინჯებულია) წინააღმდეგ და მაღაროს მუშების გამოკვების და ბინების გაუმჯობესობას. მაღაროს მუშების ინტერესები დაცული იქნება იმგვარი ზომებით, რომელიც მაღაროების წარმოების ნაციონალიზაციას დააახლოვებს. მაღაროს კათოლიკე მუშების თავმჯდომარე იმბუში სპის ხელშეკრულებას ეკონომიურ თვალსაზრისით დაუკმაყოფილებლად სთვლის, მაგრამ გერმანიამ მაღაროს მუშების მოთხოვნილებას მაინც უნდა დაუთმოსო. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ამ ჟამად იმ შეხედულების გაფანტვა, რომ მუშაობის გაძლიერებას ბოლოს და ბოლოს სარგებლობა მოაქვს მარტო კაპიტალისტებისათვის. სტინესმა განაცხადა, რომ მუშაობის მოულოდნელი გაძლიერება შეთანხმების შედეგიაო, მაგრამ ვინაიდან შეთანხმება ხელმოწერილია, ყოველი გერმანელის ვალია შეასრულოს სიტყვა და გააკეთოს ყველაფერი ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად. თუ მუშაობა არ გაძლიერდა, გერმანია უმუშევართა რიცხვის გაზრდის გამო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება და ამ შემთხვევაში მას ეკონომიურ ღირებულებათა ნაცვლად ადამიანების ექსპორტი დასჭირდება. მაგრამ სტინნესი შესაძლებლად სთვლის მაღაროს მუშების გამოკვების გაუმჯობესებას და სადგომ ბინების გამრავლებას, თუ ყოველდღიურათ 3000 ბინას გააკეთებენ. დასასრულ საგარეო მინისტრმა სიმენსმა განაცხადა საჭიროა მთელი ქვანახშირის წარმოებისა და მისი განაწილების სისტემის რეორგანიზაცია, რომ ამ გზით გავაუმჯობესოთ მუშების მდგომარეობაო.

**ფრანგული ცნობები.**

**სამხედრო კავშირი.**

ბრიუსელიდან მოსული ცნობით საფრანგეთსა და ბელგიის სამხედრო შტაბების უფროსები მომავალ კვირაში პარიზში საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო კავშირის საკითხის განხილვას განაგრძობენ, ე. ი. განიხილავენ საკითხს სანაპირო ჯარის პირადი შემადგენლობისა და ომიანობის დროს მათ საერთო მოქმედების შესახებ. ამ საკითხების განხილვის შემდეგ ისინი თავის მთავრობებს ამის შესახებ სათანადო მოხსენებებს წარუდგენენ.

**სპის კონფერენციის შემდეგ**

ბერლინიდან იუწყებიან: საიმპერიო ეკონომიურმა საბჭომ განიხილა მთავრობის დეკლარაცია სპის კონფერენციის შესახებ და მოუწოდებს გერმანიის ყველა წრეს ხელი შეუწყონ ამ კონფერენციის ასრულებას.

**ხალხთა ლიგა.**

„პტი-ჟურნალი" იუწყება: ხალხთა ლიგის საბჭოს ყრილობა სენ-სებასტიანში შესდგა ივლისის 26. მთავარი განსახილველი საკითხებია: 1) ეკონომიური ზომები, რომელიც მიღებულ იქნეს ომის დამწყებ სახელმწიფოთ მიმართ, 2) მუდმივი სანიტარულ ორგანიზაციის დაარსება, 3) გაცნობა იმ პროექტისა, რომელიც ჰააგაში საერთაშორისო კომისიამ და სასამართლომ გამოიმუშავა, 4) საბჭოსი და საერთო ყრილობის რწმუნებულების განხილვა საერთო კრების სხდომების გამო, რომელიც 15 ნოემბერს შესდგა, 5) ხალხთა ლიგის პასუხისმგებლობა (გამოტოვებულია).

**პალესტინაში**

ბეირუთიდან იუწყებიან: საფრანგეთის ჯარმა მოიგერია შერიფის ჯარის იერიშები და დამასკის მთავრობამ პირობა მისცა ფრანგებს, რომ ქალაქი მანამ ასაზრდოებს ფრანგების რაზმს, სანამ რკინის გზას არ შეასწორებენ.

**აკრძალული საგნები**

„ჟურნალ ოფისილი" აქვეყნებს დეკრეტს, რომელშიც ჩამოთვლილია აკრძალული საგნების შემოტანა: აკრძალულია შემოტანა მარგალიტისა, ყურძნისა ქიშმიშისა, ფინიკისა, რომლიდანაც ღვინოს აკეთებენ, ყვავილები. (გამოტოვებულია) ლიქიორი, ქიშმიშის ღვინო და სხვა სასმელები, რომელიც საბაჟო ტარიფში არ არის აღნიშნული ძვირფასი ქვებისა, სამეცნიერო ქვებისა, საათების მოწყობილებისა, იარაღებისა, რომელიც საზღვარ-გარეთ და თვით სახელმწიფოში იხმარება, ძველი იარაღებისა კოლექციისათვის და საერთოთ ყოველგვარ იარაღისა და სამხედრო მასალებისა.

**მოსავალი.**

„პტი ჟურნალის" ცნობით საფრანგეთში მოსავალი ძლიერ კარგი იქნება. ერთ დროს ეშინოდათ მუშა ხელის ნაკლებობის, მაგრამ ეს სიძნელეც აცილებულია, რადგან სამხედრო მინისტრმა ჯარისკაცებს ყანებში მუშაობის ნება მისცა. მეორეს მხრივ მიწის მუშები უფრო დაკავშირებული აღმოჩნდენ მიწასთან, ვიდრე ამას ფიქრობდენ. არ უნდა ვიფიქროთ, სწერს „პტი პარიზიენი",—რადგან ქალაქი მეტს ფასს იძლევა შრომაში, და მეტ თავისუფალ დროს აძლევს მუშას, ამიტომ მიწის მუშები გამორბოდენ ყანებიდანო. ქალაქში ნამყოფი მუშები მოდიან სოფლებში და არწმუნებენ თავის ამხანაგებს, რომ გაიტანოს ისინი ქალაქმა. სოფლებში მათ ნაკლები ეხარჯებათ, რაც შემნახველ კასაში ფულის შეტანით აიხსნება. აი, მაგალითად, პროვანსში ერთ კვირაში ეხლა მეტი შემოვიდა კასაში, ვიდრე ომამდი ერთს თვეში შემოდიოდა.

**სავაჭრო კომისიის სხდომაზე.**

საფრანგეთის პრესა იუწყება: ხუთშაბათს შესდგა პარლამენტის სავაჭრო-კომისიის სხდომა შარლ შომეს თავმჯდომარეობით. ერზანმა წარადგინა საინტერესო მოხსენება უანზის მდიდარ მაღაროებისა და ალჟირისა და ტუნისის მადნეულობის რკინის გზებზე ტრანსპორტის პირობების შესახებ. ტრანსპორტის საკითხის განხილვისას ერზანმა კრიტიკა გაუკეთა სხვადასხვა პროექტებს. უენზის ხაზი არ არის საკმარისი. აუცილებელია მეორე გზის გაკეთება ტუნისის ნავთსადგურების მიმართულებით. საფრანგეთის საპარლამენტო სავაჭრო კომისიამ მოიწონა ერზანის მოხსენება. შომეს წინადადებით მან ერთხმად სურვილი გამოსთქვა, რომ მოკლე ხანში მოხდეს შეთანხმება ალჟირისა და ტუნისის მთავრობათა შორის, რათა ტუნისის ტერიტორიაზე ალჟირის მადნეულობის გამოტანა აკრძალული არ იქნეს.

## საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკება ინგლისთან

(საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ-ის სრულუფლ. წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს ცნობა)

**მოსკოვი.** 15 ივლისი. (ოფიციალური) ა. წ. 29 ივნისს გაგზავნილ კრასინის ნოტაზე დიდ ბრიტანეთის მთავრობამ 1-ლ ივლისს უპასუხა წერილობით, რომელშიაც მოყვანილია პრინციპები, როგორც ბაზისი შეთანხმებისათვის.

1 საურთიერთო ვალდებულება იმის შესახებ, რათა ერთმა მხარემ უარი სთქვას მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაზე და ზომების მიღებაზე, აგრეთვე პირდაპირ ან არაპირდაპირ ოფიციალურ პროპაგანდაზე მეორე მხარის დაწესებულებათა წინააღმდეგ; კერძოთ, ვალდებულება საბჭოთა მთავრობის მხრივ იმის შესახებ, რათა უკანასკნელმა არ გაუწიოს არავითარი დახმარება სამხედრო მოქმედებით ან პროპაგანდით აზიის ხალხებს მათ სამტრო მოქმედებაში ბრიტანეთის ინტერესების, ან ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ. ეს წინადადება ეთანაბრება საერთო დროებით ზავს, როგორც პირობას სავაჭრო დამოკიდებულებათა აღსადგენათ; ამასთანავე ბრიტანეთის მთავრობას სწამს, რომ იგი მალე მიგვიყვანს საერთო ზავამდე.

2) სამშობლოში დაბრუნების ნებართვა რუსეთში მყოფ ბრიტანეთის ქვეშევრდომებისა და დიდ ბრიტანეთში ან ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მყოფ რუსეთის ქვეშევრდომობისთვის.

3) საბჭოთა მთავრობა ვალდებულია განაცხადოს პრინციპიალური თანხმობა იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს ზარალს კერძო პირებს, დიდ ბრიტანეთის მოქალაქეებს, რომლებმაც საქონელი მიყიდეს, ან პირადი სამსახური გაუწიეს საბჭოთა რუსეთს. დიდი ბრიტანეთი არ მოითხოვს ამ ვალების დაუყონებლივ გადახდას. ამ მუხლში ნაგულისხმევ რუსეთის ვალდებულებებისა და სხვა საკითხების სწორი განსაზღვრა უნდა მოხდეს საზავო მოლაპარაკების დროს.

4) დიდი ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა საბჭოთა მთავრობის პირობებზე სავაჭრო დამოკიდებულებათა შესახებ, რაც ურთიერთობის ნიადაგზე იქნება დამყარებული; მაგრამ ამასთანავე ბრიტანეთის მთავრობა უფლებას იტოვებს უარი სთქვას საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ აგენტის დანიშნვაზე. დიდი ბრიტანეთის მთავრობა უცდის პასუხს საბჭოთა მთავრობისაგან იმის შესახებ. იღებს თუ არა იგი ამ პრინციპებს, როგორც ბაზისს შეთანხმებისათვის, რუსეთსა და ბრიტანეთს, ან სხვა სახელმწიფოებს შორის სავაჭრო დამოკიდებულებათა აღსადგენათ,—იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც აღიარებენ ამ პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ წინადადებაზე დადებითი პასუხი იქნება, ბრიტანეთის მთავრობა მზათ იქნება იმსჯელოს დეტალებზე საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა დანიშნავს, გარდა უარყოფილებისა.

თუ ერთი კვირის განმავლობაში ამ წინადადებაზე არ იქნება დადებითი პასუხი, მაშინ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მოლაპარაკებას შეწყვეტილათ ჩათვლის და, ვინაიდან ამით საბჭოთა მთავრობა განაცხადებს სურვილს ბრძოლა განაგრძოს ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ, ინგლისის მთავრობა მოულაპარაკება თავის მოკავშირეებს იმის შესახებ, თუ როგორი ზომები იქნეს მიღებული შექმნილ პირობების გამო".

ეს ნოტა მოიტანეს მოსკოვში ამხ. კრასინმა და ნოგინმა. 7 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა თანაგრძნობით ხვდება ინგლისის სურვილებს და ამ მიზნით, საჩქაროთ იქნეს შეკრული ზავი რუსეთმა და დიდ ბრიტანეთს შორის, იგი იღებს ბრიტანეთის მთავრობის წერილში წამოყენებულ პრინციპებს, როგორც ბაზისს შეთანხმებისათვის, რომელიც მოლაპარაკების საგანი იქნება. მოლაპარაკება რაც შეიძლება, საჩქაროთ უნდა იქნეს დაწყებული.

საბჭოთა მთავრობა ეთანხმება ბრიტანეთის მთავრობას იმაში, რომ მის მიერ წამოყენებული გეგმა ეთანაბრება რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დროებით ზავის ჩამოგდებას; მას აგრეთვე იმედი აქვს, რომ ეს მომზადებს საბოლოო ზავს; ამასთანავე საბჭოთა მთავრობა პროტესტს აცხადებს იმ მტკიცების გამო, თითქოს საბჭოთა რუსეთი თავს ესხმოდეს ბრიტანეთის იმპერიას. საბჭოთა რუსეთს ჰსურს ზავი ჩამოაგდოს დიდ ბრიტანეთთან,—ზავი რომლის მიღწევასაც ხელს უშლიდა მხოლოთ ის გარემოება, რომ ასეთივე მისწრაფება არ ჰქონებია ბრიტანეთის მთავრობას.

ეს საპასუხო ნოტა გაეგზავნა ბრიტანეთის მთავრობას 7 ივლისს, საღამოთი.

## „წითელ" ადერბეიჯანში

(ჩამოსულის ნაამბობი)

**მობილიზაცია.** ბაქოში გამოკვეყნებულია ბრძანება, რომლის ძალითაც ხდება მობილიზაცია ადერბეიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა გენერლებისა, შტაბ და ობერ-ოფიცრებისა, ზემდეგებისა და სამხედრო დროის მოხელეებისა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია განჯის გუბერნიაში 25 ივლისი, ხოლო დანარჩენ ადგილებში—1 აგვისტო.

**ერთეული ჩრეზვიჩაიკა.** ბაქოს „ჩრეზვიჩაიკის" 2 წევრის განკარგულებით გემზედ დატუსაღებულ იქნა ადერბეიჯანის „სოვნარკომის" თავმჯდომარე ნარიმან ნარიმანოვი, მიუხედავათ იმისა, რომ, მან დაასახელა თავისი ვინაობა მხოლოდ 2 ს. შემდეგ მოვიდა ბრძანება მისი განთავისუფლების შესახებ. ნარიმანოვის დატუსაღების ბრძანებაზე ერთ-ერთ ხელის მომწერი „ჩრეზვიჩაიკის" წევრი გუკასოვი უკვე დახვრიტეს ხოლო მეორეს მისჯილი აქვს უვადო კატორღა.

## სომხეთის მუშათა და გლეხთა მოწოდება

სომხეთის პროფესიონალურ კავშირებმა შემდეგის მოწოდებით მიმართა რუსეთისა და ადერბეიჯანის და სხვა მუშებსა და გლეხებს:

„უკვე სამი თვეა, რაც ჩვენ მოსაზღვრე ადერბეიჯანის ხელმძღვანელები საბჭოთა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები ბალშევიკები-აგიტატორები აწყობენ მუხანათურ თავდასხმას ჩვენს ტერიტორიაზე ყარაბაღის, ზანგეზურის, ყაზახისა და შამშადინის მიმართულებით. ამ გადახარებულ მინდვრებში სამუშაოს დროს სომხეთის მუშები და გლეხები მოკლებულნი არიან საშუალებას ხელი მოკიდონ სამუშაოს რის გამოც ისინი ეკონომიურათ განადგურებულნი არიან. მეორე მხრივ რუსეთის წითელი ჯარისა და თათრების ბრბოების ხელმძღვანელები მათ მიერ უკანონოთ დაკავებულ სომხეთის უდავო მიწაწყალზე აპატიმრებენ და ხვრეტენ უდანაშაულო სომეხ გლეხებსა და მუშებს და სომხეთის სამსახურში მყოფ აფიცრებსა და ჯარისკაცებს. ამასთან ერთად ისინი ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს სომხეთის მთავრობამ ალექსანდროპოლში დახვრიტა 2.000 კომუნისტი გლეხები და მუშები, ყარსის რაიონში—300 კომუნისტები, თითქოს სომხეთის მშრომელები გმინავენ ძალადობასა და ჩაგვრა-წამების უღლის ქვეშ. საბჭოთა რუსეთის, ადერბეიჯანის მუხანათური მოქმედება სომხეთისადმი ნათელია. კომუნისტურ ცენტრმა, რომელმაც არა ერთხელ აღიარა სომხეთის თვითგამორკვევის უფლება, დღეს თავისივე განცხადების თანახმათ კავშირი შეჰკრა პანთურქულ რეაქციონურ ძალებთან,—კავშირი, რომლის პირველი მსხვერპლიც სომხეთის ხალხი უნდა იქნეს. ახლა ხდება დიდი დანაშაულობა: თავის სურვილების სისრულეში მოსაყვანათ საბჭოთა რუსეთი და ქემალის აგენტი—ადერბეიჯანი გზავნიან თავიანთ ძალებს სომხეთში, რათა დაიპყრან ჩვენი სამშობლო და გასრისონ სომეხი მუშები და გლეხები.

ერევნის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო თავის ენერგიულ პროტესტსა და ზიზღს აცხადებს კომუნისტებსა და პანთურქისტებს შორის დადებულ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც სომხეთის დამოუკიდებლობას და მის მშრომელ მასსების წინააღმდგ; პროტესტსა და ზიზღს აცხადებს აგრეთვე იმ უკანონო და თვითნება თავდასხმათა წინააღმდეგ, რასაც ისინი სჩადიან აღნიშნულ ხელშეკრულების ძალით. საბჭო კატეგორიულათ უარყოფს ბალშევიკურ აგიტატორებისა და ადერბეიჯანის ცბიერ აგენტების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს, რომლებიც სრულიად არ შეეფერებიან სინამდვილეს და მოუწოდებს მთელ ქვეყნის შეკავშირებულ მშრომელთ დაეხმარონ სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელმაც თავი დააღწია მუდმივ ჩაგვრას და რომელიც შეურყეველათ მიისწრაფის მშვიდობიანობისაკენ. ამასთანავე ერევნის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ სომხეთის მშრომელი მასსები სომხეთის მთავრობასთან ერთად მზათ არიან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ ყველა მათ, ვინც მოინდომებენ გაანადგურონ სომხეთის დამოუკიდებლობა და დაიმორჩილონ ხალხის ნება". (სომხ. დეპ. სააგ.)

## მთავრობაში

**ტომრების საზღვარ-გარეთ გატანის აკრძალვა.** მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება ტომრების საზღვარ-გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ.

**ძლიერ რადიო სადგურის მოწყობა.** მთავრობამ მოისმინა მოხსენება თფილისში ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ და დაადგინა გადაწყვეტილების გამოტანამდე უფრო დეტალურად შეისწავლოს სადგურის მოწყობის პირობები. ამიტომ დადგენილია რადიო სადგურის მოწყობის პროექტი გასაცნობად მთავრობის წევრებს დაურიგდეს.

**სომხეთის შუამდგომლობა.** მოისმინა რა გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენება სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელის შუამდგომლობის შესახებ, რომელიც შეეხებოდა თფ. ხაზინაში მყოფ კაგიზმანისა და ყარსის ხაზინების საქმეების სომხეთზე გადაცემას, მთავრობამ დაადგინა: მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობოს სომხეთის დიპლომატიურ მისიის წარმომადგენელს მთავრობის თანხმობა აღნიშნულ ხაზინების საქმეების სომხეთზე გადაცემის შესახებ. ამ საქმეების სომხეთზე გადაცემა მიენდოს ფინანსთა მინისტრს იმ პირობით, რომ ის საქმეები, რომლებიც ოლთისის და არტაანის რაიონებს ეკუთვნის, სომხეთს არ გადაეცეს.

**კულტურულ-განმანათლებელი სექცია.** მთავრობამ დაადგინა გადასცეს აგიტაციის და მოძრავ სამკითხველოს საჭიროებისათვის სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციას მესამე კლასის ვაგონი. ამ ვაგონი. ამ ვაგონით სარგებლობის კანონები უნდა შეიმუშავოს სამხედრო სამინისტრომ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

**საჩუქარი რკინის გზაზე მოსამსახურეთ.** მთავრობამ თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებისა რკინის გზაზე ზოგიერთ მოსამსახურეთათვის საჩუქრის მიცემის შესახებ დაადგინა, მიეცეს უფლება გზათა დეპარტამენტს დახარჯოს ამ საჩუქრების დასარიგებლად 17.000 მან. ამასთანავე დეპარტამენტს მიენდო დამფ. კრებაში სათანადო დეკრეტის შეტანა.

**სანატორიუმი ბორჯომში.** სახელმწიფო კონტროლიორის შეწორებით მთავრობამ მიიღო მიწად-მოქმედების მინისტრის მოხსენება ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოწყობის შესახებ. სანატორიუმისათვის საჭირო სამეურნეო მოწყობილების შექმნა მიწად-მოქმედების სამინისტროს დაევალა, მედიკური ნაწილის კი—ჯანმრთელობის დეპარტამენტს. სანამ დამფუძ. კრება ამ პროექტს დაამტკიცებდეს ყველა წინასწარი ხარჯი სანატორიუმის მოსაწყობად მიწად-მოქმედების მინისტრმა უნდა გაიღოს. სათანადო კანონპროექტი დამფ. კრებას უნდა წარედგინოს. (სდს).

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

✦ **პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს საგანგებო სხდომა** პარასკევს, 30 ივლისს, საღამოს 6 ს. მუშათა სასახლეში შესდგება საქართველოს პროფ. კავშირთა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი. თათბირზე გარდა საბჭოს წევრებისა მოწვეული არიან ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლები. თათბირი განიხილავს მხოლოდ ერთ საკითხს—საბჭოთა რუსეთში და ადერბეიჯანში მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ. აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს საბჭოს წევრებს: ი. ბადრიძეს, ა. ხელაძეს, ქ. თოფაძეს, ს. კაიტაჯიანს, გ. ტუსკიას, მ. ხოჭოლავას, ვ ნოდიას, ს. რამიშვილს, ი. მეგრელიშვილს, ვ. ცენტერაძეს, მ. ძამაშვილს, ვ. ბოხოძეს, დ. გაჩიჩილაძეს, პ. ბერიშვილს, პ. კავკასიძეს და გ. კაპანაძეს უსათუოთ დაესწრონ აღნიშნულ სხდომას.

✦ **რუსულ-ქართული შერეული კომისია** სამხედრო გარანტიების შესახებ ბათომიდან თფილისში დაბრუნდა.

✦ **შრომის ხელფასი მცირეწლოვანთათვის.** შრომის სამინისტრომ არსენალის ადმინისტრაციას განუმარტა, რომ მცირე წლოვანთა შრომის ხელფასი უნდა განისაზღვროს ნამუშევარ საათების რაოდენობით 6 საათის სამუშაო დღის მიხედვით,

✦ **რკინის გზელთა კავშირის გამგეობას** შრომის სამინისტრომ აცნობა: სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის დროს უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: რუსეთის სამსახურისათვის მოსამსახურეებს მიეცემა საკრედიტო მოწმობა, და 1918 წლ. მაისის 26-დან სამსახურისათვის კი ნაღდი ფულითო.

✦ **ბორჯომის წყლის ფასის გადიდება.** მიწად-მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საკითხი ბორჯომის წყლის ღირებულების შესახებ. კომისია დაწვრილებით გაეცნო ყველა გასავალს და გამოარკვია, რომ სამინისტროს უჯდება თითო ბოთლი წყლით, შეხვევით და სხვ. 18 მან. და 13, 5 კაპ. იმ მიზნით, რომ გაძვირების გამო არ შემცირებულიყო ბორჯომის წყლის მოთხოვნილება, კომისიამ დაადგინა დაავალოს სამინისტროს კონტრაგენტს, რომ მან წყალი დადგენილ ფასზე ძვირად არ გაყიდოს. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: ქარხანაში ერთი ბოთლი ბორჯომის წყალი ღირება 20 მან. და კერძო გაყიდვის დროს კი 25 მან. ამ პროექტს წარუდგენენ მიწად-მოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად.

✦ **სატარიფო პალატამ** დაადგინა: ქუთაისის ელექტრონის სადგურის მუშების ჯამაგირი თფილისის სადგურის მუშების ჯამაგირებს გაუთანასწოროს.

✦ **მილიციასთან შეტაკების დროს** სოფელ ცხრაწყაროში მოკლულ იქნა ყაჩაღი კოჩაძე.

✦ **თფილისის საფერშლო სკოლასთან** არსებული ერთი წლიანი კურსები დაამთავრა და მედიკურ ფერშლის წოდება მიიღო შემდეგმა პირებმა: ასოვსკაია ესფირა, ბაქრაძე ნინო, ბერძენიშვილი ნინო, ბერძენიშვილი ეკატერინა, გოგინავა ვარადიბული, გიუნაშვილი თამარა, გეორგაძე მარიამ, ჯაკობია ათანასე, ჯუღელი შალვა, ჯიბუტი რაჟდენ, ეროფეევი ილია, ქანთარია დავით, კიკნაძე ფილიმონ, კაჭარავა აკაკი, ლალიაშვილი დავით, მეუნარგია აკაკი, მენთეშაშვილი ეკატერინე, ნიკოლეიშვილი ივანე, ფერაშიძე კირილე, ფერაძე ნინო, რუსია ანდრია, სადრაძე ნინო, თუშმანიშვილი თეკლე, თავბერიძე ნიკიფორე, ჰაია დიომიდე, ქელიძე გერონტი, ჩხარტიშვილი ანნა, ჩიქოვანი ნადეჟდა, წიქრიძე ნადეჟდა.

✦ **ქურდობა.** ამერიკის კომიტეტმა შეატყობინა განსაკუთრებულ რაზმის უფროსს ბ. კედიას, რომ ბათომიდან თფილისში გადმოტანის დროს მოპარულ იქნა ვაგონიდან 210 ტომარა კომიტეტის ფქვილი. გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედება მოხდა ბათომში 29 ივნისს; ნაწილი ფქვილისა აღმოაჩინეს და მისიას დაუბრუნეს. ბათომში დაატუსაღეს ამ საქმეში დამნაშავე შემდეგი პირები: კალანდარიშვილი ნიკოლოზ, საბახტარაშვილი მურზაყან, წულუკიძე ანდრია, ბურჯანაძე ილარიონ, იბინოვი თეიმური და ახმეტ-ეფენდი მურტუზადე. აგრეთვე თფილისში დაატუსაღეს ამავე საქმეზე ვასო კუპრავა. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ მოპარული ფქვილი ინგლისელების ადმინისტრაციამ ჯერ დააკავა, მაგრამ მერე როცა ვილაცამ მიიღო 150,000 მან. ქრთამი—ფქვილი გაუშვეს. ვინ აიღო ქრთამი, ვერ გამოირკვა. ეს პირები კიდეც წასულან ბათომიდან.

✦ **დამფუძნებელ კრების** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 28 ივლისს საღამოს 7 საათზე.

✦ **საღამო.** ხვალ, 29 ივლისს, ქართულ კლუბში ვახტანგ გარრიკის დეკლამაციის საღამოა.

— ამხ. სამსონ ჯაში სთხოვს ივანე ნაკაშიძე შეიარაღოს მასთან რკ. გზის მთავარ პურის საცხობში ქ. ნოვოროსიისკში ყოფნის დროს კულტურულ წრის საქმეების გამოსარკვევად.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, საღამოს მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია, მეორე რაიონის ქალთა კოლექტივის არა ჩვეულებრივი კრება 6 საათზე. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ოზურგეთი.** 17 ივლისს ოზურგეთში გაიხსნა საზაფხულო პედაგოგიური კურსები. კურსები გახსნა სამაზრო ერობის განათლების განყოფ. გამგე გ. გოგუაძემ. მსმენელთა რიცხვი 130, ამათში 50 მოწვეული უუფლებო მასწავლებელია, დანარჩენი გარეშე მსმენელნი, ვისაც სურვილი აქვს წოდება შეიძინოს.

კურსების ხელმძღვანელ - მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან: ქართულ ლიტერატურაში—ია ეკალაძე, საქართველოს ისტორიაში—ი. ფერაძე, მსოფლიო ისტორიაში—კ. ქავთარაძე, პედაგოგიკაში—ა. გოგუაძე, ბუნების მეტყველებაში და გეოგრაფიაში—გ. გოგუაძე, არითმეტიკაში და დაწყებითი გეომეტრიაში—გ. კენკაძე.

## ქართულ-რუსული კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ

**ბათომი.** (საქ. კორესპ.) კომისიის მეექვსე სხდომის დასასრულ რუსეთის კომისიამ სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების დასათვალიერებლად სხდომის შეწყვეტა მოითხოვა. სხდომის განახლების შემდეგ რუსეთის კომისიამ აღნიშნულ დაწესებულების გამოსაკვლევად შემდეგი გეგმა წარადგინა: უნდა დაიკითხოს სხვადასხვა თანამდებობის პირი, საქმის წარმოებას უნდა გავეცნოთ ადგილობრივად და სხვ. ამასთანავე რუზერმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილების საქმის წარმოების გამოკვლევის დროს შერეული კომისია უნდა გაეცნოს აგრეთვე № 61 საქმეს, რომელიც რუსეთის დელეგაციის განკარგულებაში იმყოფება. ამ საქმიდან შეიძლება ცნობების მიღება, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან სამხრეთ რუსეთის მთავარ-სარდალი და სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ სიმ. მდივანმა წინადადება გამოსთქვა, რომ გამოკვლევის პროცესის დროს შესაძლებელია მხოლოდ საქმის წარმოებით დაკმაყოფილდეთ, თუ კი ეს საკმარისი იქნება საკითხის გამოსარკვევად. ამასთანავე მდივანმა გაკვირვება გამოსთქვა იმის შესახებ თუ როგორ ჩაუვარდა რუსეთის დელეგაციას № 61 საქმე და სთხოვა მისი განცხადება ოქმში შეეტანათ.

**„პეტრე დიდის" დათვალიერება.** საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელ კიროვის ნოტის გამო რუსულ-ქართულმა შერეულმა კომისიამ თავისი წრიდან გამოყო წარმომადგენლები, რომლებმაც კიროვის მიერ აღნიშნული შხუნა „პეტრე დიდი" დაათვალიერეს. „შხუნა" დაათვალიერეს ივლისის 24 და სათანადო ოქმიც შეადგინეს, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ სვ. მდივანმა, რუსეთის დელეგაციის წევრმა ბენკენდორფმა და ბათომის ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა ჩხიკვიშვილმა. „შხუნა" დაათვალიერეს, მოწმობები შეამოწმეს და „შხუნის" კაპიტანი კოვალენკო დაკითხეს. გამოირკვა, რომ „შხუნაზე" მხოლოდ მოტორისათვის საჭირო კეროსინი იყო. არც ყოფილა განზრახვა „შხუნა" კეროსინით დაეტვირთათ. „შხუნაზე" არ ყოფილა მგზავრები, მაგრამ განზრახვა ქონიათ 20—30 კაცი წაეყვანათ. ეს „შხუნა" მოვიდა ნოვოროსიიდან 9 ივლისს.

„პეტრე დიდის" დათვალიერების შემდეგ შესდგა კომისიის მეშვიდე სხდომა, რომელზედაც წაიკითხეს კიროვის ნოტა, ჩხიკვიშვილის პასუხი და ოქმი, რომელიც „პეტრე დიდის" დათვალიერების შემდეგ შეადგინეს. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შხუნის დათვალიერებამ სრულიად დააკმაყოფილა რუსეთის დელეგაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შეცდომაში იყო შეყვანილი. ამის გამო რუსეთის დელეგაცია კიროვს მოხსენებას გაუკეთებს. ამასთანავე რუსეთის დელეგაციამ ითხოვა მიეცათ მისთვის საშუალება გამორკვევისა ნავთსადგურის წიგნების დათვალიერებით და დაკითხვით რამდენად შეეფერება სიმართლეს კიროვის ნოტაში მოყვანილი ცნობები ბათომიდან გასულ გემის „ყიზილ ირმაკის" შესახებ. დადგენილია: გამოსაკვლევად გამოიყოს წარმომადგენლები საქართველოს და რუსეთის დელეგაციებიდან. გამოკვლევა მოხდა იმავე დღეს. შეადგინეს სათანადო ოქმი, რომლიდანაც გამოირკვა, რომ კიროვის ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. თანახმად ოქმისა „ყიზილ ირმაკზე" ყოფილა სულ 1000 მგზავრი, რომელთა დიდ უმრავლესობას შეადგენდა ქალები და ბავშვები. მამაკაცი კი სულ 40 ყოფილა. მათ შორის არც ერთი სამხედრო პირი არ ყოფილა. (სდს)

## ერობა და ქალაქი

**თფილისის ერობის წევრთა ყრილობა.** ივლისის 26 გაიხსნა თფილისის სამაზრო ერობის წევრთა ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარე დ. ასათიანმა მოკლედ დაახასიათა ის საკითხები, რომლებიც ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს. შემდეგ ამისა ერობის თვითმმართველობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. ონიაშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სამაზრო ერობის მდგომარეობა სანიტარულ, კულტურულ, სასურსათო და საადმინისტრაციო საქმეების მხრივ წარსულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთესიაო. ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. ამ ჟამად მიწის ფონდში ითვლება 43.000 დეს. აქედან 28.000 დეს. უმიწო გლეხებს დაურიგდებათ. თვითმმართველობამ გახსნა აგრონომიული კურსები და სარძევე ფერმები. სანიტარულის მხრივ მაზრა დანაწილებულია 9 სამკურნალო და 4 საფერშლო რაიონებათ. მაზრაში გახსნილია 65 სკოლა. გახსნილია აგრეთვე საღამოს კურსები. იშვიათია ყაჩაღობა და მკვლელობანი. დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა თემების მოქმედებაზე აღნიშნა, რომ მაზრაში 7 თემი მოქმედობსო.

**საერთო დაწესებულებათა მოქმედება.** ერობათა კავშირის კომიტეტის დადგენილების თანახმად დუშეთის, თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში მიდის საგანგებო კომისია საერობო დაწესებულებათა მოქმედების გასაცნობად და მათთვის ინსტრუქციების მისაცემად.

**სიღნაღი.** ივლ. 22. მომარაგების სამინისტრომ სიღნაღის მაზრაში მოაწყო ბიურო ხორბლეულობის შესყიდვის მიზნით. ამის გამო კერძო პირებს ხორბლეულობის ყიდვის უფლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით ეძლევათ.

**ბორჯომი.** ივლ. 27. ბორჯომის თემის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ბორჯომის სახელმწიფო მამულებისა და ტყეების შემოსავლიდან მისთვის განსაზღვრული პროცენტის მიცემის შესახებ. (სდს).

## საქართ. მუშების დელეგაცია საბჭოთა რუსეთში

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი შუამდგომლობით მიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს:

„ივლისის 22 შესდგა გაერთიანებული სხდომა რესპუბლიკის პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და თფილისის საბჭოს სეკრეტარიატისა. ხსენებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება განახორციელოს პროფ. კავშირთა წარმომადგენელთა საგანგებო თათბირის დადგენილება და გაგზავნოს საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაცია 10 კაცისაგან შემდგარი. დელეგაციაში უნდა შევიდნენ სხვადასხვა დარგის მუშები. დელეგაციის მიზანი იქნება ადგილობრივათ გაცნობა საბჭოთა რუსეთის ეკონო-

[illegible]

## იუსტიციის სამინისტრო

[illegible]

## თბილისის საბჭოს სასურსათო...

[illegible]

## უცხოეთი

[illegible]

## დეპ. ა. ჩხენკელი დასავლეთ საქართველოში

[illegible]

## ქალაქის საბჭოში

[illegible]

...ჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული ზომები ზამთრისთვის სურსათის დასამზადებლათ და რადგან ქალაქს ამ ჟამათ შესაფერი თანხა არ მოეპოვება, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის წინაშე, რათა ქალაქს მიეცეს ამ მიზნით 50 მილიონის გძელვადიანი უპროცენტო სესხი. საბჭო ადასტურებს მოხსენებას და გამოაქვს შესაფერი დადგენილება.

## მგზავრის დღიურები

**მთებში და ულელტეხილებში.**

1 ივნისი.

**ღ ა მ ე.**

წისქვილის მახლობლათ ვიყავით დამსხდარნი, როცა ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა, 16 წლის მუსლიმანი, ლამაზი და სევდიანი სახისა. დაგვიწყო ცქერა და თავისთვის ამოიკვნესა. თათრულათ გამოგველაპარაკა, მე მიუხვდი სიტყვა „ასკერი", მხოლოდ არლელი გვარდიელი გამოელაპარაკა თათრულათ, არლელმა ქართველმა კარგად იცის თათრული. მისი საშუალებით ჩვენს შორის გაიმართა საუბარი.

— რას ამბობს?

— მას აწუხებს, რომ ქართველი ასკერები დაგვინახა დაღლილი, დატალახებული და გვეკითხება,—ხომ არაფერი გინდათო, გადმომცა გვარდიელმა. მე დავინტერესდი და თარჯიმანის საშუალებით ლაპარაკი განვაგრძეთ.

— რა გვარი ხარ?

— დაუსმან-დეილაროღლი.

— რა გქვია?

— ხალილი.

— რა ამბებია თქვენს სოფელში?

— მშვიდობა, მხოლოდ ვწუხდებით, რომ ბრძოლა აღარ თავდება და მუაში ნახირს ველარ მიერეკებიან. გვაწუხებს, რომ საერთოდ არ დაგვისვენია რამოდენიმე წელია...

ახალგაზრდას კილო, ლაპარაკი, გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა ამტკიცებდა, რომ ნიჭიერი ყმაწვილი იყო.

— სკოლაში იყავი?

— არა.

— არც გაქვს სურვილი?..

— ჩვენში სადაა ბატონო, სკოლა, ან ვინ გვ სწავლიდა...

იგი გაჩერდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ შეგვეკითხა;

— იქნება პური გშიათ?

— ვიშოვნით გასაყიდს?

— გასაყიდათ არა!

ბატონო, ისე მოვიტანთ სახლიდან პურს, ყველს, ფულს არ ავიღებთ.

— გვშია, მაგრამ უფულოთ არ გვინდა პური.

მას გაუკვირდა. ცოტახნის შემდეგ მოიტანა პური და ყველი. დიდი ხვეწნით ჩამოგვართვა ფული. არ იღებდა, მხოლოდ, რადგანაც ჩვენ არ ავიღეთ და უჭმელი მივდიოდით, იგი დათანხმდა. საერთოდ აქაური ახალგაზრდობა არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენენ, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ადვიგენში მივედით ხუთ საათზე. გვარდიის ნაწილებმა წინა პოზიციებისაკენ გასწიეს.

ღამე წყნარი დადგა. ცა მოიწმინდა. ჩვენ ახალციხეში ვიყავით უკვე. 10 საათზე თფილისს ველაპარაკეთ. ამხ. ვალიკომ, ანდრომ ადერბეიჯანის ამბები გადმოგვცეს და თავიანთი აზრი გოდერძის შესახებ...

4 ივნისი.

დილით ადრე გვეწვივნენ ამხ. ვალიკო ჯუღელი, ვ. გოგიშვილი, ლ. მგელაძე და გენ კვინიტაძე. მათ დაათვალიერეს ჯარის ნაწილები და შემდეგ ამხ. ვალიკომ ესაუბრა ჯარის კაცებს და გვარდიელებს.

5. ივლისი, საღამო ზარზმაში.

ადვიგენიდან მეხუთე ვერსზე მდებარეობს ზარზმა. მაღალ გორაზე აშენებულ უძველეს მონასტერს გარს პატარა სოფელი არტყია, თავს მარცხნივ მაღალი ქედები დასქერიან უდაბური ტყეებით მოსილი და წინ იშლება მშვენიერი სანახაობა ქვაბულიან ჩაის ხეობისა. ქვაბულიან-ჩაის ხეობა მეტად ლამაზია, თვისებური სანახაობისაა, განსხვავდება თითქმის ყველა ხეობებიდან და მდიდარია, როგორც სილამაზით, ისე ტყეებით, პატარა მდინარეებით და მთა-გრეხილებით.

თვით მდინარე ქვაბულიანი, რომელიც შუაზე ჰყოფს ხეობას, მდიდარი არის თევზებით და განსაკუთრებით კალმახით. მდინარის მარცხნივ და მარჯვნივ, დაწყებული ზარზმიდან შორეულ სოფლებამდე ტყეებია, ტყე კი ნაძვით და ფიჭვით მოსილი. ხეობის შორეულ მთებში კი მოსჩანს პატარა სოფლები, რომელნიც თავისებურ სილამაზეს აძლევს უდაბურ ხეობას. მთებში კი „იაილები", ნახირი მწყემსები. თვით ადვიგენის ხეობას, მდინარის ნაპირებს, ველებს ამშვენებს ზღვასავით მოელვარე ყანები და სოფლელები ამბობენ, რომ დიდი ხანია ასეთი ყანები არავის უნახავსო. მაღლობებში და ზოგიერთ ადგილებში აქა-იქ მოსჩანს სადარაჯოები.

ზარზმის მონასტერი შედარებით ვარძიასთან და სხვა მონასტრებთან, დაცულია. თვით მუსლიმანები უვლიან, გასაღები აქვთ და როცა მგზავრი გაივლის, კარებს უღებენ და აჩვენებენ...

9 ივნისი.

საღამო მოწყენილი იყო. ნისლით დაბურული მთები აღარ მოსჩანდა. დრო გამოშვებით წვიმდა. ხეობაში სიწყნარე იდგა, ჩვენც დაღონებული ვიყავით. ან კი რა გაგვახარებდა... სამწუხარო ცნობა მოგვიტანეს ხულოდან: იქ ბრძოლის დროს მოჰკლეს რამოდენიმე ჯარის კაცი და ორი აფიცერი.

ჩვენთვის გამოურკვეველი იყო დახოცილ მხედართა რაოდენობა და ვინაობა, მხოლოდ აფიცრების ვინაობა კი შევიტყვეთ. ესენი იყვნენ არ. გამცემლიძე და შალვა ხოხაშვილი. ყველასითვის სამწუხარო იყო ეს ცნობა. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, იქ მოწყვეტილი, ხულოს ულრან მხარეში სხვებთან ერთად დაიღუპა ჩვენი პატარა ახალგაზრდა შალიკო ხოხაშვილი.

რა ცუდია დრო და ჟამი, ეს საწუთრო, ეს სოფელი!..

ვინ იცის, რა იმედი, რა მომავალი ძალა დაიმარხა ხულოში!.. რა იმედებს იძლეოდა მისი სამხედრო ნიჭი, მისი ნორჩი სიცოცხლე და რა უდროვოთ დაიღუპა პატარა, მოუსვენარი მებრძოლი ყველას საყვარელი შალიკო...

პატარა მებრძოლმა ყველა ბრძოლებში მოასწრო მონაწილეობის მიღება, ყველა ფრონტებზე ამ ოთხი წლის განმავლობაში, შესაფერი ნდობა, ჯილდო, მადლობა დაიმსახურა და იშვიათია, რომ ასეთ ახალგაზრდას ჩვენში გაეკეთებინოს ის, რაც მან გააკეთა. მისი ცოდნა და საქმე ისეთი იყო, რომ ყველას ანცვიფრებდა. იგი საუკეთესოთ ხელმძღვანელობდა ტყვიის მფრქვეველთა რაზმსა და თავის გაკვირვებას იწვევდა.

არ გვეგონა, არ გვწამდა მისი სიკვდილი, რაც სამწუხაროდ ფაქტი იყო...

მახსოვს თებერვლის სუსხიანი ამინდი იყო, როცა მას გენერალი წულუკიძე გამოეთხოვა, გზა დაულოცა და გამარჯვება უსურვა—მან კი უპასუხა:

— ნუ გიშინიათ, თუ საქმე გასჭირდა ცოცხალი მაინც არ დავბრუნდებიო. ამხანაგებსაც გამოთხოვებისას დაგვიძახა:

— იმედი იქონიეთ. თუ ბრძოლა დაიწყო ვალს ღირსეულად მოვიხდი. იცოდეთ ყველაფერს ავიტან და მივიღებ ყოველგვარ გაჭირვებასო. იმედიანათ გამოგვეთხოვა და ის იყო მისი უკანასკნელი გამოთხოვება...

მაშინ ის ღიმილით მიდიოდა, ჩვენ კი მოწყენილი ვეთხოვებოდით. მისი წინასწარი ზრახვა ასრულდა, იგი იქ მოკვდა და ვინ იცის სად ღრღნიან მის წმინდა ცხედარს ყვავ-ყორანნი...

მადლიერია ის დედა, ვინც ასეთი შვილი აღზარდა და მსხვერპლათ მიუძღვნა ჩვენს ქვეყანას. ტანჯულია, მხოლოდ თვით, რომ მას ჯერ მოსვენება არ უნახავს, ცხოვრება არ გაუცვნია და დაიღუპა.

11 ივნისი.

კამარას მთაზე. ცუდი დილა გათენდა. ხანგრძლივმა წვიმებმა თავი მოგვაბეზრა. ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა გვარდიელებს და ჯარის-კაცებს. მთები, ულელტეხილები, ხეობები დანისლული იყო. მიუხედავათ მძიმე პირობებისა მოწინააღმდეგეთა ბანაკის დაზვერვა ხდებოდა. მათი ძალები გამოურკვეველი იყო, მხოლოდ მათი სადარაჯოები კეხოვანის მაღლობიდან მიდიოდა ქვაგულინოჩაის მაღლობებით კამარით (იგივე ნაომარა) გოდერძის ულელტეხილით, ასლან-ბეგ-კარაბატას მთებით და გადადიოდა შავშეთის მთებისაკენ ფოცხოვის მთების საზღვრებთან. ისინი ჩვენ მზვერავთა გამოჩენაზე კანტი-კუნტ სროლას სტეხდენ.

დილით ადრე მზვერავთა რაზმთან ერთად გავეშურეთ კამარას მთისაკენ. თან გვახლდა ამხ. გ. ფალავა, ბათალიონის უფროსია ლლონტი და სხვები. კარმარას მთა თავისი სიმაღლით, მდებარეობით გაბატონებულია გოდერძის ულელტეხილის ორივე მიმართულებით. მოწინავე რაზმების სადარაჯოებიდან ჩვენ გავიარეთ რამოდენიმე ვერსტი ტყე. ტყე გათავდა და ჩვენ წინ გადაიშალა კამარას თოვლიანი მთა. რომელსაც თავს ნისლი დაკროდა. ცოტა თათბირის შემდეგ შევუდექით 3 მხრით კარმარას დაზვერვას და გავსწიეთ ზევით თოვლი, აქა-იქ წყლები და მეტათ სქელი შქერის ბუჩქები ჩვენ ხელს გვიშლიდა და ძნელი ხდებოდა ასვლა. მიუხედავათ ამისა, სწრაფათ ვიწევდით. კასმარას მთის მარჯვნივ სალ კლდეებში რამოდენიმე ვერსის სიგრძით აქა-იქ მოსჩანდნენ აჭარელთა „ჩეტნიკები" და ისევ ჩაიმალებოდნენ სანგრებში.

10 საათზე ნისლმა იმატა და რამოდენიმე ფეხის ნაბიჯზე აღარაფერი სჩანდა. ჩვენ მიახლოებაზე აქა-იქ მოწინააღმდეგემ დაიწყო სროლა და ამით ჩვენ გვაცნობა, რომ ისინი მზათ არიან.

ჩვენგან არავის პასუხი არ გაუცია.

12 საათზე უკვე კამარას თავზე ვიყავით. ნისლმაც იკლო.

კასმარას თავზე მათი მეთვალყურენი გამოჩნდნენ.

რამოდენიმე ფეხის ნაბიჯზე და ისევ მიიმალნენ. მათთვის პასუხი არ გაუციათ, რადგანაც ამას დაზვერვის წესი მოითხოვდა. ამ დაზვერვამ სრულიად გამოარკვია საერთო მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ ისინი მოელიან ომს და ემზადებიან.

1 საათზე ისევ წვიმა მოვიდა. ნიაღვარი მოედო ბილიკებს.

13 ივნისი. სოფ. გორდეძი.

დილით ადრე გორდეძში მივედით, სადაც ჩვენი მარცხენა მოწინავე სადარაჯოები იდგა. გორდეძი მთებში მდებარეობს, ირგვლივ ტყე არტყია, თავს მაღალი გორი ტაპკს, კარა-ღელის მაღლობები დუსცქერის, წინ ხეობა სჭრის და პირდაპირ კამარას მთას მისჩერებია. სოფელი სამი პატარა უბნისაგან შესდგება და შიგ სულ 42 კომლი მაჰმადიანი სცხოვრობს. ხალხი საქონლის მოშენებას მისდევს და თვით შინაურულათ იკმაყოფილებს ყოველგვარ მოთხოვნილებას. სოფლებში სრული სიწყნარეა და არ წააგავს ზოგიერთ სხვა სოფლებს, საიდანაც ზოგიერთი ახალგაზრდები წასული არიან მტრის ბანაკისაკენ. სოფლელებმა ჩვენ გვიამბეს რომ მაღალ მთებში ველარ მიდიან ნახირით, რადგანაც ომს მოელიან. სოფლად ძლიანი სიბინძურეა მიუხედავათ ბუნების სიმშვენიერისა.

14 ივნისი.

საღამოს უთხსუბანში მივიდნენ თფილისელი ამხანაგები დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟ...ლიანის მეთაურობით. მათ მოიტანეს მთელი

[illegible]

## ს. დ.-პარტიაში

[illegible]

ოი ამხანაგები სრულიად უმიზეზოთ თ არ ესწრებიან კოლექტივის ბს. კოლექტივმა დაადგინა, რომ ი და სწორი დამოკიდებულება ცენტრსა და ძირითად ორგანი- ბს შორის, საჭიროა კოლექ. წევ- ყველანი ესწრებოდნენ კრებას. ის რომელიც კრებას არ დაესწრება რც საპატიო მიზეზს წარმოად- იქნებიან გადაყენებული კოლექ- ბან და მისი სახელი და გვარი ცხადდება პრესაში. მესამე კითხვის ბ ირკვევა, რომ გამგეობას და ციას გულგრილობა გამოუჩენიათ რტირების წინააღმდეგ ბრძოლაში კრეთვე გამგეობას არ მიუღია შე- ი, მისგან დამოკიდებული ზომები თის შესახებ, კრებამ დაადგინა, ინა რა კოლექტივმა მოხსენება გამგეობისა და მილიციის უმოქ- ბისა, დეზერტირებისა და სიმინ- რექვიზიციის შესახებ რაც იწვევს ში სამართლიან უკმაყოფილებას, გინა: მიეცეს წინადადება ორივე ას მომავალისთვის იმოქმედონ მი- ეწონილათ. მეოთხე კითხვის,— თის შესახებ—დაადგინა, რადგან თავში ადრე დაიწყო შიმშილობა, ვ, მოსალოდნელია ცუდი შედეგები ს, ამის თავიდან ასაცილებლათ ოა სასწრაფო ზომები. შესაფერი ი უნდა მიიღოს თემის გამგეობამ ერატივის დახმარებით.

ი. ლ.

## მუშათა შორის

**რიის პროფესიონალურ კავშირთა**

ა. 9 ივლისს შესდგა საბჭოს ძვე- ა ახალი გამგეობის წევრთა სხდო- ბჭოს ახალმა გამგეობამ თავმჯდო- ი ერთხმად აირჩია გრ. კოპლა- მის ამხანაგათ ლ. ჩავლეშვილი მოლარე), მდივნად მ. ნიკოლაი- ი.

ომის და მისი ოლქის საქართვე- იან შემოერთების გამო გამგეობამ გინა: გამართულ იქნას 11 ივლისს ს 11 ს. საზეიმო მიტინგი ამ დი- ისტორიული აქტის აღსანიშნავად. ეჭდოს ამ დღისათვის შესაფერი რსის პლაკატები, რომლებიც გაკ- იქნება ქალაქში და აგრეთვე მი- ის დროს დარიგდება ხალხში. და- ოს მეეტლეთა კავშირს ამ დღეს ბი სადღესასწაულოდ მორთონ, როს ქალაქისა და სამაზრო ერო- გამგეობათ ამ დღისათვის მათი ბი და ავტომობილები სადღესას- ოთ მორთული დილიდანვე გადას- საბჭოს გამგეობის განკარგულებაში. ლობითი წინადადება მიეცეს ყვე- კავშირებს, რათა უკანასკნელთ ი შემადგენლობით მიიღონ მონა- ობა ზეიმში დროშებით. მიტინგის ძღვანელობა დაევალოს გამგეობის ჯდომარეს გრ. კოპლატაძეს.

აოკის მუშებში და მუშაობის ველებში გავრცელებული ყალბი ს გამო, რომლებიც საბჭოს მიმართ ში უკმაყოფილებას იწვევს, დაი- ს კრება, როგორც მუშებისა, ისე ავართა კვირას, 11 ივლისს, დი- 10 ს., რომელზედაც დასწრება ლოს ერთერთ გამგეობის წევრს უძლო ხმების გასაფანტავად.

ვის სახვევ ქარხანაში წარდგენილ ბის სიის გატარება, საერთო კონ- ლი და ხსენებულ მუშებში კავში- შექმნა და პროფესიონალურ კა- ა წევრად ჩარიცხვა დაევალოს ობის წევრს ლ. ჩავლეშვილს.

რილობითი წინადადება მიეცეს ა კავშირებს, დაუყონებლივ წარ- გინონ ხვედრი საწევრო გადა- ი.

მგეობის გამორკვევით კავშირი რსებობს შემდეგ დაწესებულებე- და წარმოებებში: 1) ბანკებში, ოქრებში, 3) რუბენ ჩხაიძის ანის მუშებში, 4) სატყეო უწყების მოსამსახურეებში, 5) ძაფის სახვევი ის მუშებში. საბჭოს გამგეობას ლებლად მიაჩნია ამ ახლო ხანში ხსენებულ წარმოებებში დაარსდეს რები.

მგეობა აუცილებლად სცნობს იკ- ბოდეს ყოველ დღე, საღამოს 5 ე საბჭოს ბინაზე მიმდინარე სა- ების გადასაწყვეტად.

ივლისის სხდომაზე მუშათა მაგი- მდგომარეობის შესახებ მოხსენებას ებს მუშათა მაგიდის სექციის თავმ- მარე ვლ. ღლონტი. მოხსენებიდან რკვა, რომ პირველი თვის განმავ- ში ე. ი. 19 ივნისიდან 19 ივლი- მუშათა მაგიდა აწვდიდა სურსათ- ვაგეს 24 სახელმწიფო, 14 საზოგა- ა 10 კერძო დაწესებულებათა და ობათა მუშა-მოსამსახურეთ რიც- 257 მუშა-მოსამსახურეთ და 742 ოჯახის წევრთ, საერთოდ 999 ; მიიღო თფ. მუშათა მაგიდისაგან ფუთი ხორბალი და სხვა სურსათ- ვაგე. ხორბალი ადგილობრივ იქნა ვილი და მაგიდის წევრთ ეძლევათ ცხვარი პური სულზე 1 გირვანქა ი, გირვანქა 10 მანეთად. აგრეთვე თ ეძლევათ თითო გირ. შაქარი ე და ორ-ორი გირ. ბრინჯი თვე- აქარი 30 მან, და ბრინჯი 20 მა- დ გირვანქა. ამას გარდა მაგიდის ამ ჩამოიტანა თფილისის მუშათა იდან ფართალი და ფეხსაცმელები რებით დაკლებულ ფასებში, რი- წევრნი მეტად კმაყოფილი დარ- და რომლის ოპერაციები სასურ- დ დასრულდა. სულზე მოდიოდა ლოვებით 460 მანეთის ფართალი. ალი თვისათვის მაგიდის წევრთა ვი საგრძნობად გადიდდა, რადგან ასხვა დაწესებულებებმა სურვილი ხადეს სასურსათო ფონდის ფუ- თითო მოსამსახურეზე 1000 მანე- გადახდისა და მაგიდის წევრად გახდომისა. ამ რიგად წევრთა რიცხვი ავიდა 1240-მდე. რომელთა დაკმაყოფილებას დასჭირდება, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 600 ფუთი ხორბალი. მაგრამ სურსათის ნაკლებობის გამო, თფ. მუშათა მაგიდამ ეს მოთხოვნა მხოლოდ სანახევროდ დააკმაყოფილა და მისცა ოზურ. მუშათა მაგიდას მხოლოდ 300 ფუთი ხორბალი; თან გააფრთხილა, რომ ეს სურსათი გამოეზოგნათ 15 აგვისტომდე. მოისმინა რა ეს მოხსენება, გამგეობამ, სექციის მუშაობა ნაყოფიერად სცნო, ხოლო ვინაიდან გადმოცემული 300 ხორბალი მაგიდის წევრთ დაკმაყოფილებს მხოლოდ პირველ აგვისტომდე და ყოვლად შეუძლებელია ამ სურსათით 15 აგვისტომდე წევრთა დაკმაყოფილება, აღძრულ იქნას თფ. მუშათა მაგიდის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა, რათა 1 აგვისტოდან მიეცეს ოზურგეთის მუშათა მაგიდას დამატებით 300 ფუთი ხორბალი 15 აგვისტომდე. სურსათის კრიზისის გამწვავების გამო, მუშა მოსამსახურენი აუტანელ პირობებში იმყოფებიან, რის გამოც ამ შუამდგომლობის არ დაკმაყოფილება და მაგიდის ფურნის 15 დღით გამოკეტვა და წევრთათვის სურსათის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვევს მეტად არა სასურველ შედეგებს. ამის გამო გამგეობა დაბეჯითებით ითხოვს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. ამას გარდა აღძრულ იქნას შუამდგომლობა თფ. მუშათა მაგიდის გამგეობის წინაშე, რათა პირველ აგვისტოდან ოზურგეთის მუშათა მაგიდა დამტკიცდეს მუდმივად მაზრის მასშტაბით.

14 ივლისს გამგეობამ დაადგინა: მიმართოს სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გამგეობას თხოვნით, რათა ის ფასდადებით სისტემატიურად აწვდიდეს გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამგეობას თითო ცალს ყველა კანონებისას და სავალდებულო დადგენილებებს პროფესიონალურ კავშირთა უფლება მოვალეობის შესახებ. შეეკითხოს იმავე საბჭოს, შესაძლებელია თუ არა ითვლებოდენ კავშირისა და მისი გამგეობის წევრებათ ადმინისტრატიული პირები, რომელთა უფლებაში შედის მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვა, ან გადაყვან-გადმოყვანა. აგრეთვე შესაძლებელია თუ არა კავშირისა და მისი გამგეობის წევრებად იყვნენ ისეთი ადმინისტრატიული პირები, რომლებიც ადმინისტრატორებად ითვლებიან, მაგრამ აღნიშნული უფლებები არა აქვთ.

საბჭოს მდივანი **ალ. მენაბდე.**

## პროვინცია

**მთის ქალთა ცხოვრება.**

**სოფ. სტეფანწმინდა.** მთის ქალთა ცხოვრება მეუღლეობის დროს მეტისმეტათ აუტანელი არის. მთის ქალი ჯერ კიდევ ნორჩი არსებაა, როდესაც მას ათხოვებენ. იქნება ასე 15—16 და 17 წლისა და ამ ხნიდან ასრულებს ყოველგვარ ოჯახურს მოვალეობასა. იგი მოვალეა ქმარს ემსახუროს სრულის მორჩილებით არა ისე, როგორც საყვარელმა და სიყვარულით შეყრილმა მეუღლე, არამედ—ისე როგორც რაღაც ხელქვეითი მოსამსახურე.

ქალის კისერზედ არის შემდეგი მოვალეობანი: 1) გამოაცხოს პური, მოწველოს ძროხა, ცხვარი და დაუგავოს სახლი, ბოსელი და ის ნაგავი გოდრით (წნელის კალათით) ზურგით სოფლის განაპირას გაიტანოს. 2) ქალმა უნდა გაარჩიოს ქერი, გაახმოს მზეზედ და შემდეგ მოზურგოს 3—4 ფუთიანი ტომარი და წაიღოს შორს თუ ახლოს 3—4 ვერსის მანძილზედ წისქვილში დასაფქვავად, და დაფქვილი უკანვე ზურგით სახლში მოიტანოს. 8) ქმარს ცოლი მისდევს გუთანზედ და თოხით შლის სახნისით გადაბრუნებულს დაუფშვნელს ბელტებს, ამავე დროს მას სახლიდან ზურგით მიაქვს მთის აღმართ ფერდოებში ყანაზედ დასათესად ქერი 3—4 ფუთის სიმძიმე და ხელით ან ძუძუ-მწოვარი ბავშვი მიჰყავს ანდა წინდა უჭირავს ხელში და ისე კოხტათ და სწრაფად ატრიალებს თითებში წინდის ჩხირებს, გეგონებათ ეს რაღაც მანქანით იქსოვება წინდაო და ნართი ქსოვილისა უძევს ჯიბეში. დაითესება რა ყანა და დაიფარცხება ცოლ-ქმარნი სახლში ბრუნდებიან, მაგრამ ამ სუსტს არსებას როდი შეუძლიან, რომ მოისვენოს, იგი გარბის სპილენძის თუღლუხით წყალზედ და შეუდგება ვახშმის და მეორის დღისთვის სადილის მზადებას, პურის ცხობას. მოამზადებს რა პურს გარშემო ეხვევიან სამი ოთხი პატარა და გლეხურათ ძონძებ-კონკებში გამოხვეული ბავშვები და მოსვენებას არ აძლევენ საბრალო მანდილოსანს, ზოგი სტირის ძუძუსთვის, ზოგი ეუბნება დედავ პური მშიან, ფია დაასხი, სისია მომეცი, გამხადე, მეძინება, ბალიში დამაწვინე, აბა ამ გვარი სხვა, რამე. ამ მხრივ ქმარი გულქვა არის და კიდეც თაკილობს, რომ თავის საყვარელი უსუსური შვილი ან დაარწიოს, ან ხელში აიყვანოს და ამით ცოტათ მაინც ჯაფა შეუმციროს ცოლსა. 4) ცოლის მოვალეობას შეადგენს ქმარის მთლათ შემოსვას. ცოლი, როგორც თავისთვის, ბავშვებისთვის, ქმარისთვის კერავს სამოსელსა ანუ ტალავარსა. მეშის ჩუსტებს, წინდებს, შალის ანუ მეშისვე პაჭიჭებს, საცვლებს, ახალუხს, ტყავს და ქსოვს და უკერამს შალის ჩოხას. 5) გათავდა ხვნა (მაისში) გაიპარსა ცხვრები, თიბათვის პირველებში, გაირჩევა საწველავი ცხვარი ცალკე და წავლენ. სახლიდამ მაღალ მთის მეზვერვანებზედ, აქ სადმე ციცაბო კლდის პირებში აშენებულია პატარა ქოხები ოჯახების თავშესაფარათ და ნაწველ ნადღვების მოსათავსებლათ, რომლის გვერდს შემოლობილი საწველელა არის (ბერა) გაკეთებული; ცოლი ეს სუსტი არსება მიდის მთაში ერთის თვით ანუ 5 კვირით, ცხვრის და ძროხების საწველათ, ზურგზედ იკიდებს აკვანს. რომელშიაც დედას მჩვრებში გახვეული უწევს და კამარაზედ გადაჭიმული თასმებით ჩაუკვრია ჩვილი არსება. ამ საცოდავს დედას მიუძღვის მთის ბილიკებზედ ცოტა მოზრდილი ერთი ანუ ორი ბალანა და ერთიც უმცირესი ხელმოკიდებული კიდევ გვერდს ამოჰკვრია თავის დედას. აბა შვილო გაიარე, არ გადავარდე დედა გენაცვალოს, ქოხში ავალთ, ფიას მოვწველავთ, სისიას შევძურამთ, დოს ნადუღაის და ერბოს გაჭმევთ. ეს მოქანცული მანდილოსანი ყმაწვილებს ყრის ქოხში, რეცხამს საწველავს ჭურჭელს, იბანს ხელებს, იკალთება იმკლავება და შედის საწველს ბერაში, სწველამს სარძე ცხვარს, აავსებს ხელადს რძითა და გადააწვდის მეორეს ქოხში ტაშტებში გადასაწურავათ და ცარიელი საწველელით ისევ განაგრძობს წველას. მოდის წვიმა და ქარიშხალი, მანდილოსანი სველდება, კბილს კბილზედ აცემინებს სიცივითა, იტანჯება იგვემება და ისევ წველას განაგრძობს. შემდეგ რძეს დაალაგებს და დასვენებული ადამიანი შედის ბავშვებთან ქოხში დასაძინებლათ. ცოტა თვალს მოატყუებს, ჯერ კიდევ არ არის გათენებული რომ ეს მწველელი ქალი ხელახლათ დაიმკლავებს და ნაავდრალს ცხვარს გაუშვერს ცურისკენ რძისთვის ხელებს. ქალის ზურგზედ ისევ ავდარი, ისევ სისველე, ისევ სიცივე. ქოხში იგი მოკლებულია მშრალს ტანისამოსს და ცეცხლზედ გათბობას და გაშრობას, შუადღის დროს მან უნდა მიბეროს ღალა, შეწუროს ყველი, აადუღოს ყველის შრატი მოჰყაროს ნადუღალი და შედღვიბოს დო, შეინახოს კარაქი. საღამოზედ ასევე უნდა შეუდგეს ცხვრის წველას. შექუჩდება, რა ქოხში ნაწველი ყველი და კარაქი, ყოველ კვირაობით მთიდან მანდილოსანი ისევ ზურგით, სახლისკენ ეზიდება. ეს გასტანს ცხვრის წველა ერთის თვიდან 6 კვირას. 6) მკათათვის 15-ში ანუ 20-ში მთის ხალხი იღებს ცელს და სახლიდან მიდის თავის წვრილშვილებით სადღაც მაღლობს მთის ფერდობზედ სათიბათ, მას მიზდევს აკვნით ზურგზედ წვრილშვილებით დედა საბრალო, რომელსაც წელში გაურჭვია ნამგალი ღამე დგომით აკვნიანათ, მამაკაცი და დედაკაცი პირველი ცელით და მეორე ნამგლით თივას სთიბავენ. ეს მუშაობა თიბვა, ახვეტვა და თივის აგება გასტანს აგვისტოს გასვლამდის; ზოგან მთიდან კაცი და მამაკაცი ეზიდება თივის ტვირთებს ისევ ზურგით და აგებს ერთეულ 6—7 ფუთიანს თივის ძირსა. 7) გათავდა თიბვა, ახლა სექტემბრის პირველებში შემოვიდა სამკალი ქერები, ისევ აკვნით მიდის მამაკაცებთან ერთად ნამგლით საბრალო ქალი, მკის და უალერსებს თან თავის უსუსურს ბავშვებს, მოდის საქმით მოქანცული ადამიანი სახლში და შეუდგება ვახშმის სამზადისს და მეორე დღისთვის აცხობს პურს. რა მოიმკება შემოზიდავს ძნას დედაკაცი, ქმართან ერთად ლეწვისას. ზამთარში დედაკაცი უვლის სხვილ ფეხს საქონელსაც და მას ნაგავიც გააქვს ისევ ზურგით, როგორც ზემოთ აღვნიშნე გოდრით.

აი ასეთი ჭირ-ვარამის და შრომის პატრონი და შვილების აღმზრდელი არის მთის ქალი ჩვენში. მე ამას მარტო არა ვსწერავ მოხევების მიმართ, არამედ მე სახეში მყავს, თუში, ფშაველი, ხევსური, მოხევე, მთიული გუდამაყრელი და მთის ქისტი და ოსიც.

ბარის ქალი შედარებით მთის ქალთან ნაკლებს აკეთებს, ძროხებსაც კი ზოგჯერ ქმარს აწველინებს, წყალს ქმარს აზიდვინებს, წისქვილში ხომ ქმარი დადის, სათიბ-სამკალზედ, ტყეში მუშაობა მხოლოდ მამაკაცს აქვს დაკისრებული. მთის გლეხის ქალი ბარის გლეხის ქალთან შედარებით ძალიან შევიწროებულს ცხოვრებას ატარებს და ფიზიკურათაც არ იქნება ჯანსაღი. ადრე ბერდება ამ შრომის და ტანჯვის ამტანი მთის ქალი, და ჰკარგავს ჯანმთელობასთან ერთად სიტურფე-სილამაზესაც.

**ან. კობაიძე.**

(დასასრული იქნება)

---

**საგურამოს თემი** (დუშეთის მაზრა). კვირას, 11 ივლისს, სოფ. წინამძღვრიანთ-კარში შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ლ. ძიძიგური. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებები გააკეთეს: დუშეთის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ დ. ჭონიშვილმა, დამფუძნებელ კრების წევრმა ივ. ტატიშვილმა, დუშეთის მაზრის გვარდიის ხელმძღვანელმა ტ. შუშიაშვილმა და წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის მასწავლებელმა ამხ. ლ. ძიძიგურმა. მომხსენებლები შეეხნენ „წითელ“ ადერბეიჯანთან ომს და ხაზ-გასმით აღნიშნეს ჩვენი დემოკრატიის ერთსულოვანი მოქმედება მტრის წინააღმდეგ. დაახასიათეს აგრეთვე საზავო ხელშეკრულება ადერბეიჯანთან და მისი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისათვის. მომხსენებლები შეეხნენ აგრეთვე ოსების გამოსვლებს, ასეთ გართულებულ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა კრიტიკულ მომენტს განიცდიდა. ხალხში გაისმოდა უკმაყოფილების ხმები; ისინი გმობდნენ ოსების თავხედ-საქციელს. ბათომის შესახებაც გააკეთეს მოხსენება ორატორებმა. როდესაც ერთმა მომხსენებელმა სთქვა, რომ ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ დაიკავა ბათომიო, იგრიალა ერთხმად ვაშას ძახილმა ხალხში. აღფრთოვანებამ მაშინ უფრო იმატა, როდესაც მათ მოისმინეს, თუ როგორი ზეიმით შევიდა ჩვენი ჯარი და გვარდია ბათომში და საქართველოს დროშამ როგორ შესცვალა მოკავშირეების დროშები. ყველას სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა. სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყველა ნათლად გრძნობდა, რომ მთავრობის პოლიტიკამ გაიმარჯვა და უსისხლოთ მოხდა საქართველოს დაქუცმაცებული სხეულის გამთელება. ამხ. ლ. ძიძიგურის წინადადებით ყრილობა ესალმება დემოკრატიულ დამფუძნებელ კრებას და მის ნდობით აღჭურვილ მთავრობას, რომლის მიზანშეწონილი პოლიტიკის წყალობით გაიმარჯვა სამართლიანობამ და ბათომი ისევ დაუბრუნდა თავის დედა სამშობლოს. მიტინგზე მრავალმა ახალგაზრდამ განაცხადა გვარდიაში ჩაწერის სურვილი, რაიც ტატე შუშიაშვილის მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი. აღსანიშნავია, რომ მოხუცებულებიც კი ეწერებოდნენ. მოხსენებებით კმაყოფილი ხალხი ნასიამოვნებელი დაიშალა.

ამ დღესვე შესდგა ადგილობრივ თემის ხმოსანთა მესამე ყრილობა. ხმოსნებს გარდა დაესწრნენ; სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ბ-ნი დ. ჭონიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი,—თემის ხმოსანი,—ივ. ტატიშვილი, ტ. შუშიაშვილი და მრავალი გარეშე საზოგადოება. ყრილობა გახსნა ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ძიძიგურმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიულოცა ყრილობას ბათომის დაბრუნება. ყრილობის დღიურ წესრიგში აღნიშნული იყო გასარჩევათ მრავალი საკითხები, რომლებზედაც ჯეროვანი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. დიდი კამათი გამოიწვია საწარმოო თანხის დაარსების საკითხმა და შტატების შემცირებამ. სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შესაფერისი დადგენილებები იქნა გამოტანილი. გადაწყდა აგრეთვე თემის სამ ადგილას გაიხსნას პირველ დაწყებითი სკოლები. ყრილობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია აგრეთვე სამეურნეო პუნქტის მოვლა-პატრონობას, საექიმო პუნქტის დახმარებას, გზების შეკეთებას და სხვა... საერთოდ ყრილობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

**სტ. თეზმის პირელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! „ერთობის“, 145 ნომერში 30 ივნისიდან მოთავსებული იყო ცნობები ძირულიდან იმის შესახებ, რომ ძირულის სამთო მადნეულობის ქარხანაში „შრომა“-ში არ აქცევენ ყურადღებას წარმოების მოწესრიგებას, რომ ამხანაგობის ნაწილმა აღძრა სისხლის სამართლით დევნა ეგრეთ წოდებული დირექტორის ფელდტის და გამგე ზუენოგოროდსკის შესახებ, მაგრამ ვითომდა ამ საქმის აღმძვრელნი პირნიც დიდი საეჭვონი არიან, როგორც მაგალითად აქციონერი, მე, კოლია ლამბაშიძე, ყოფილი აფიცერი რესპუბლიკის ჯარისა, ვითომ დამითხოვეს სამსახურიდან სულ ახლოხანში ბნელი საქმეებისათვის, და ვითომ საქმე კიდევ არ იყოს დაბოლოვებული. ვცნობ აუცილებელ საჭიროებათ ვაცნობო რედაქციას, რომ აღნიშნული ცნობები მოყვანილი ჩემთვის გამოურკვეველ კორესპონდენტისაგან, სიცრუის გარდა, შეადგენს კიდევ ყალბ ბრალდებას, რომელიც ლახავს ჩემს ღირსებას. მე დავეთხოვე სამხედრო სამსახურს თანახმად ჩემი სურვილისა და არავითარი დევნა ჩემს წინააღმდეგ დღემდის არ არის აღძრული, რაც მტკიცდება ამ წერილთან ერთად წარმოდგენილი საბუთებით. გენერალურ შტაბიდან გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენი გაზეთის ახლო ნომერში და მაცნობოთ საცხოვრებელი ადგილი და სახელი აღნიშნული კორესპონდენტისა, კანონიერ პასუხისგებაში მისაცემათ *)

ჯარის თადარიგში მყოფი პოდპოლკოვნიკი **ნ. ლამბაშიძე.**

*) საბუთები რედაქციამ მიიღო. რაც შეეხება კორესპოდენტის ვინაობის დასახელებას, რედაქციას ეს არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში რედაქცია თითონ კისრულობს ყოველგვარ პასუხისმგებლობას. რედ.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

**დავკარგე**

**იორდანე კირილეს ძე მოისრაფეიშვილ**მა პირადობის მოწმობა მოცემული ჩოჩხათის თემის თავმჯდომარისაგან, აგრეთვე სამხედრო სამსახურში ნამსახურობის საბუთები, რასაც ვაცხადებ გაუქმებულათ დღიდან გამოცხადებისა. (2452 1—1)

**სამკურნალო**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე**

ლებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

**კბილის ექიმმა**

**თ. ს. ცხომელიძემ**

შესწყვიტა ავათმყოფების მიღება წასვლის გამო 1 ენკენისთვემდინ. (2455—2—1)

ექიმი

**კ. გ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის ქალაქების სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხშაბ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვეკიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ყ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე მათემატიკის

**მასწავლებელი**

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

ექიმი

**გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

ლებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**გ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

**ხოლდომან ისაიას ძე ვოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

**ა. წ. 26 ივლისიდან სასაკლაოს ქარხანაში დაიწყება ყინულის დამზადება**

ყინულის მიღების მსურველს ვსთხოვთ შემოიტანოს განცხადება ამა თვის 25-დე: ან სასაკლაოს კანტორაში (ნავთლუღი) ან ქალაქის თვითმართველობის 3-მე განყოფილების კანცელარიაში, სადაც შეიძლება პირობების გაგებაც.

**ქალაქის სასაკლაო.** (2423—3—3)